www.24saati.ge

# 24 საათი

The New York Times International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | ოთხშაბათი, 21 აგვისტო, 2013 წელი. | №3349 (156) | ფასი 50 თეთრი

## „მე-9 არხმა“ მაუწყებლობა შეწყვიტა და მყიდველს ელის

ტელეკომპანია „მე-9 არხმა“ მაუწყებლობა შეწყვიტა. 19 აგვისტოს 21:00-საათიან ბოლო საინფორმაციო გამოშვებაში არხის კოლექტივმა გააკეთა განცხადება, რომ არხის საინფორმაციო სამსახურმა მუშაობის 10 დღით გაგრძელების შესახებ მიღებულ შეთავაზებაზე უარი თქვა და კოლექტივმა მუშაობა შეაჩერა. ჯერჯერობით, მუშაობას განაგრძობს სააგენტო „ინფო 9“. მისი ხელმძღვანელის მანანა ელიაშვილის ინფორმაციით, სააგენტოს თანამშრომლები 11 დღის განმავლობაში ჩვეულ რეჟიმში იმუშავებენ.

გაგრძელება
მე–3 გვერდზე

## პრეზიდენტი მედიას შეხვდა და დატუქსა

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი გუშინ ჟურნალისტებს შეხვდა და სხვადასხვა აქტუალურ თემებზე ისაუბრა. მიხეილ სააკაშვილი თავისი ხელისუფლების დროს დანაშაულის მიმართ ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკის არსებობას გამართლებულად მიიჩნევს და აცხადებს, რომ «ნაციონალური მოძრაობის» მმართველობის დასაწყისში ასეთი პოლიტიკა იყო საჭირო.

**„ჩვენს დროს სისხლის სამართლის პოლიტიკა მკაცრი იყო, რადგან ქვეყანა კრიმინალიზებული იყო. როცა საქართველო ჩავიბარეთ, ქუჩის კრიმინალი იყო გავრცელებული, მყარად ჩამოყალიბებული კრიმინალური ავტორიტეტების ქვეყანა იყო.**

გაგრძელება
მე–2 გვერდზე



## აშშ-მ ეგვიპტეს დახმარება შეუჩერა

ივა შილაკაძე

ეგვიპტეში აწ უკვე ნამდვილად დააპატიმრეს პანარაბული მოძრაობა „მუსლიმანი ძმების“ უმაღლესი ხელმძღვანელი მუჰამედ ბადი (სხვა ტრანსკრიპციით, მუჰამედ ბადია). ქვეყანაში კი დაპირისპირება არ ცხრება. სამწუხაროდ, ბოლო დღეებში კიდევ იყო მსხვერპლი, როგორც პოლიციელებს (სინას ნახევარკუნძულზე), ასევე ექს-პრეზიდენტის მომხრე აქტივისტებს შორის, რომლებმაც ციხეში გადაყვანისას გზიდან გაქცევა სცადეს.

გაგრძელება
მე–4 გვერდზე



მუჰამედ ბადი

## მუშარაფს ბჰუტოს მკვლელობაში ბრალი წაუყენეს

ივა შილაკაძე

პაკისტანის ექს-პრეზიდენტ პერვეზ მუშარაფს ოფიციალურად წაუყენეს ბრალი სამი სხვადასხვა მუხლით ექს-პრემიერისა და დალუპვის მომენტისთვის ოპოზიციის ლიდერ ბენაზირ ბჰუტოს მკვლელობაში. მას ბრალდება მკვლელობა, დანაშაულებრივი გარიგება მკვლელობის მიზნით და ამ დანაშაულის ხელშეწყობა.

გაგრძელება
მე–4 გვერდზე



პერვეზ მუშარაფი

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 აშშ დოლარი | | | 1.6643⇩ |
| 1 ევრო | | | 2.2110⇩ |
| 1 ინგლისური გირვანქა | | | 2.5933⇩ |
| 1 თურქული ლირა | | | 0.8622⇩ |
| 100 რუსული რუბლი | | | 5.0433⇩ |
| თბილისი | | | 31°C - 20°C |
| ქუთაისი | | | 33°C - 20°C |
| ზუგდიდი | | | 32°C - 21°C |
| ბათუმი | | | 27°C - 21°C |
| ნავთობი | 3.19 | +0.00 | +0.16% |
| გაზი | 3.58 | +0.11 | +3.07% |
| ოქრო | 1,743.20 | -9.80 | -0.56% |
| ხორბალი | 868.50 | +12.25 | +1.41% |

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
**www.24saati.ge**

ჩვენი პარტნიორები:

თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს

FM 102.4
საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი

ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA

ISSN 1987 9121
9 771987 912100 >

## კოტე ტულუშის ჩანაწერები




კოტე ტულუში

ზურა თალაკვაძე

ანტიბში, საფრანგეთთან წაგება შეიძლება. ევროგარჩევებში საგრანგეთთან მხოლოდ ესპანეთი ვერ აგებს და ეს სხვა თემაა. საფრანგეთთან ზაზა ფაჩულიას, თორნიკე შენგელიას გარეშე ვაგებთ და საფრანგეთთან ორი დიდი ბიჭით მოგებაც რთული თემაა. და ვიგებთ სერბეთთან. კალათბურთში სერბეთთან მოგება თითქმის იგივეა, რაც ფეხბურთში იტალიის აყირავება. სერბეთმა ჩვენთან ნენად კრსტიჩით, სხვა კარგი ბიჭებით ირბინა. სერბეთს პირველი ტაიმი მივეცით. მეორე ტაიმში სერბეთი მიზერი იყო. საქართველოს ნაკრებმა საქმე გააკეთა. სერბეთი გაჩერდა. საფრანგეთთან 71:86. სერბეთთან 75:71. სერბეთმა საფრანგეთთან არმრესტლინგში 74:78 დატოვა.

გაგრძელება
მე–7 გვერდზე

## რამაზ ჩხიკვაძის შემოქმედება ფოტოექსპოზიციაში



## მიხეილ სააკაშვილი: ყოფილ მსჯავრდებულებს უნდა მიეცეთ შანსი, საზოგადოების სრულფასოვანი წევრებივით იცხოვრონ

პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის გადაწყვეტილებით, ფერიცვალების დღესასწაულთან დაკავშირებით, იმ პირებს, ვინც პირობით სასჯელს იხდის და მათ, ვინც ჩადენილი დანაშაულისთვის უკვე მოიხადა სასჯელი, პირობითი მსჯავრი და ნასამართლეობის გამო არსებული ყველა შეზღუდვა მოეხსნებათ.

პრეზიდენტის ადმინისტრაციის ოფიციალური განცხადების თანახმად, ეს **„ძლიერი ნაბიჯი“** საზოგადოების განახლებას და გაჯანსაღებას ემსახურება და **„ფართომასშტაბიანი, დაუსაბუთებელი“** ამნისტიისგან განსხვავებით, დანაშაულის მატებისა და კრიმინოგენური ვითარების გამწვავების რამე სერიოზულ რისკს არ შეიცავს.

**„უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ საზოგადოების ათი ათასობით წევრს, ვინც ჩადენილი დანაშაულისთვის უკვე მოიხადა სასჯელი, მოეხსნას ნასამართლეობასთან დაკავშირებული ყველა შეზღუდვა და მიეცეს შანსი, რომ საზოგადოების სრულფასოვან წევრად გააგრძელოს ცხოვრება.**

**განსხვავებით ფართომასშტაბიანი, დაუსაბუთებელი ამნისტიისგან, პრეზიდენტის აღნიშნული გადაწყვეტილება ემსახურება საზოგადოებისთვის ახალი პოზიტიური ბიძგის მიცემის მიზანს და არ შეიცავს დანაშაულის მატებისა და კრიმინოგენური ვითარების გამწვავების რამე სერიოზულ რისკს,“** - აღნიშნულია პრეზიდენტის ადმინისტრაციის განცხადებაში.

პრეზიდენტის შეწყალების აქტი შეეხება ყველა ყოფილ მსჯავრდებულს, გარდა იმ პირებისა, რომლებიც გასამართლდნენ შემდეგი მუხლებით:

108-ე - განზრახ მკვლელობა; 109-ე - განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში; 112-ე - დედის მიერ ახალშობილის განზრახ მკვლელობა; 140-ე - სქესობრივი კავშირი ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება 16 წლის ასაკს მიუღწეველთან; 143/1 - ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი);

143/2 - არასრულწლოვანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი); 143/3 - ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის (დაზარალებულის) მომსახურებით სარგებლობა; 144/1 - წამება; 223/1 - ქურდული სამყაროს წევრობა, კანონიერი ქურდობა; 229 - აფეთქება; 232 - ბირთვული იარაღის ან სხვა ბირთვული ასაფეთქებელი მოწყობილობის დამზადება; 234 - საქართველოს ტერიტორიაზე რადიაქტიული, ტოქსიკური, სამრეწველო ან საყოფაცხოვრებო ნარჩენის ტრანზიტი ან იმპორტი; 255/1 - არასრულწლოვანის ჩაბმა პორნოგრაფიული ნაწარმოების ან სხვა საგნის უკანონო დამზადებასა და გასაღებაში;

ასევე ნასამართლეობის მოხსნა არ შეეხებათ სსსკ-ის მე-11 კარის (დანაშაული სახელმწიფოს წინააღმდეგ) - XXXVII, XXXVII/1 და XXXVIII თავებით გათვალისწინებული დანაშაულისთვის გასამართლებულ პირებს და სსსკ მე-14 კარით (დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ) გასამართლებულ პირებს.

შეწყალების აქტი განხორციელდება პირის მიერ საქართველოს პრეზიდენტის სახელზე დაწერილი განცხადების საფუძველზე და შესაბამისი სამართლებრივი პროცედურების გავლის შემდგომ. რეგისტრაციის გავლა კი შესაძლებელია როგორც პრეზიდენტის ადმინისტრაციაში მისვლით, ასევე ტელეფონის საშუალებით.

შეწყალების აქტის შესახებ ინფორმაციის გაჟღერებიდან მეორე დღეს, 20 აგვისტოს დილიდან პრეზიდენტის ადმინისტრაციასთან განცხადების შევსების უამრავი მსურველი შეიკრიბა. ყოფილი მსჯავრდებულები და მათი ახლობლები პრეზიდენტის მიერ შეწყალების აქტის გამოცხადებით კმაყოფილები არიან.

ნასამართლობის და პირობითი მსჯავრის მქონე პირთა შეწყალების აქტს პრეზიდენტის ადმინისტრაციასთან არსებული შეწყალების კომისიის ხელმძღვანელი ელენე თევდორაძეც გამოეხმაურა. თევდორაძის შეფასებით, აღნიშნული აქტი ჰუმანურია.

**„ის, რომ პრეზიდენტი მსგავსი აქტის გამოცემას აპირებდა, ჩემთვის ცნობილი იყო. ეს არის საკმაოდ ჰუმანური აქტი, იქიდან გამომდინარე, რომ შეწყალების კომისიას პირობითი მსჯავრდებულების საქმეების განხილვის შესაძლებობა არ ჰქონდა,“** - განაცხადა ელენე თევდორაძემ.

პრეზიდენტის მიერ გაკეთებულ განცხადებას შინაგან საქმეთა სამინისტროც ეხმაურება.

**„საქართველოს პრეზიდენტის გუშინდელ ინიციატივასთან დაკავშირებით გვსურს, განვაცხადოთ, რომ შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 16 აგვისტოს** №644 ბრძანებით პირდაპირ დადგენილია თვისებრივად ახალი რეგულაცია, რომლის თანახმადაც, სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისგან სრულად გათავისუფლებულ პირთა წრის მიმართ, მითითებული თარიღიდან ვრცელდება ნასამართლობის მოხსნის რეჟიმი.

ამნისტიის შესახებ 2012 წლის 28 დეკემბრის კანონი პირდაპირ არ ითვალისწინებდა დათქმას ნასამართლობის მოხსნის წესის შესახებ. აღნიშნულმა გამოიწვია სისხლის სამართლის კოდექსის 79-ე მუხლის მრავალგვარი ინტერპრეტირება, მათ შორის არაერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკაც, რაც გაუმართლებრად ზღუდავდა მოქალაქეთა კანონიერ უფლებებს, ართულებდა მათი რესოციალიზაციის პროცესს და იწვევდა სამართლიან უკმაყოფილებას.

მიუხედავად ამნისტიის მასობრივი ხასიათისა და საყოველთაო ფორმისა, ცალკე უნდა აღინიშნოს, რომ მოსალოდნელი რისკ-ფაქტორების შეფასებისა და პერსპექტიული პროგნოზირების შესაბამისად დაგეგმილი და ოპერატიულად გატარებული პრევენციულ-პროფილაქტიკური ღონისძიებების შედეგად, ამნისტიით გამოწვეული უარყოფითი დინამიკა პრაქტიკულად ნიველირებულია და აღნიშნული ფაქტორის საერთო კრიმინალურ სიტუაციაზე ნეგატიური ზეგავლენის ხარისხი დღევანდელი მდგომარეობით მინიმუმამდეა დაყვანილი,“ - წერია შსს-ს განცხადებაში. ღარიბაშვილის უწყებაში ამბობენ, რომ პრეზიდენტს შინაგან საქმეთა სამინისტროს და პოლიციის დისკრედიტაციისკენ მიმართული და შეურაცხმყოფელი განცხადებები არაერთხელ გაუკეთებია და იმედს გამოთქვამენ, რომ ეს გამიზნულად არ ხდება.

**„სამინისტრო მოუწოდებს ყველას, მათ შორის პრეზიდენტს, თავი შეიკავონ არასწორი ინფორმაციის გავცრელებისგან და საზოგადოების შეცდომაში შეყვანისგან,“** - ნათქვამია შსს-ს განცხადებაში.

# პრეზიდენტი მედიას შეხვდა და დატუქსა

პირველი გვერდიდან

**დიდი უბედურება იყო. ნულოვანი ტოლერანტობა ამ დროს გამართლებული იყო. ამის ხარჯზე მოხდა ის, რომ გვიან ქუჩაში ბავშვის გაშვება შეგვეძლო, ქურდობა შემცირდა, ტურისტები ჩამოვიდნენ, რადგან საქართველო უსაფრთხო ქვეყანა გახდა. როცა სიტუაცია დასტაბილურდა, ალტერნატიული სასჯელის შემოტანა უნდა მომხდარიყო, შეიძლება დაგვაგვიანდა,“** - განაცხადა პრეზიდენტმა. მან ის ვეტო გაიხსენა, რომელიც ამნისტიის შესახებ კანონპროექტს პედოფილების ციხიდან გამოშვების საშიშროების გამო დაადო და რომელიც პარლამენტში დაძლიეს.

**„დღეს სერიოზული პრობლემა გვაქვს. ვეხვეწებოდი, პედოფილები არ გამოეშვათ. ამაზე ვეტო გადალახეს პარლამენტში. რა ხმა ამოეღება ამ ხალხს. ვეტოს გადალახვა ანტისახელმწიფოებრივი აქტი იყო, რომელიც მთავრობის ხელდასმით პარლამენტმა გააკეთა. ამას გრძელვადიანი შედეგები ექნება. ამის მერე კახეთში პედოფილიის რამდენიმე შემთხვევა მოხდა. გარჩევებია ბათუმელებსა და თბილისელებს შორის, ქისტებსა და ქართველებს შორის, გახშირებულია გარდაცვალების შემთხვევები საპატიმროებში,“** - აცხადებს პრეზიდენტი და პატიმარ ლევან კორტავას დაღუპვის ფაქტს იხსენებს.

**„კორტავას შემთხვევა, როცა ადმინისტრაციის დავალებით, მაყურებლებმა პატიმარი ცემით მოკლეს. ეს ჩვენი ხელისუფლების დროს რომ მომხდარიყო, არ იქნებოდა ახლა ყველაფერი აკლებული? გამომაცხადებდით კაცობრიობის მტრად, ისედაც გამოცხადებული გყავდით. ახლა ამ შემთხვევამ ჩვეულებრივად ჩაიარა. ციხეებში დაიწყო აზარტული თამაშები, დაბრუნდა მაყურებლების სისტემა,“** - ამბობს სააკაშვილი და მიიჩნევს, რომ ამ მიმართულებით სახელმწიფო პოლიტიკა დახვეწას და ლიბერალიზაციას საჭიროებდა.

**„მაგრამ ლიბერალიზაციას და ეტაპობრივ გაშვებასა და მასობრივ აღვირახსნილობას შორის დიდი განსხვავებაა. შსს-დან დანაშაულის მაჩვენებელი ციფრები ობიექტური არ არის. პროკურატურის ციფრები დანაშაულის ზრდას აჩვენებს. როგორც ჩანს, ერთნაირად ვერ მიიღეს ინსტრუქცია, რომ შედეგები დაევარცხნათ,“** - განაცხადა პრეზიდენტმა.

მიხეილ სააკაშვილმა მედიის შესახებაც ისაუბრა. საქართველოს პრეზიდენტის განცხადებით, მის მიერ „საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის“ მიცემული ინტერვიუდან, რომელიც ომის თემაზე იყო, მწვავე ნაწილი „გაქრა.“

**„ამას წინათ „საზოგადოებრივ მაუწყებელს“, რუსეთთან ომის წლისთავზე, ინტერვიუ მივეცი. ძირითადი ნაწილი, რომელსაც შეიძლებოდა, ბატონი მედვედევის და პუტინის წყენა გამოეწვია, გაშვებულ ინტერვიუში რაღაცნაირად გაქრა. მე არ ვიცი მსოფლიოში „საზოგადოებრივი მაუწყებელი“, სადაც მოქმედი პრეზიდენტის ინტერვიუს პოლიტიკური ნიშნით დაჭრიან. ასეთი რამ არ არსებობს, ხალხო,“** - დასძინა სააკაშვილმა მედიასთან შეხვედრისას. მისივე თქმით, „იმედი“ გიორგი თარგამაძემ დახურა. პრეზიდენტის განცხადებით, მას შემდეგ, რაც ბადრი პატარკაციშვილმა სახელმწიფო გადატრიალება სცადა და ღია ეთერში გამოვიდა, „იმედის“ კოლექტივმა ტელევიზია დახურა.

**„ეს მოხდა მას შემდეგ, რაც აღმოჩნდა, რომ თქვენი მაშინდელი მფლობელი რუსების დავალებით აკეთებდა სახელმწიფო გადატრიალებას, კლავდა შს მინისტრს და აპირებდა რაღაცას პრეზიდენტზე,“** - აღნიშნა სააკაშვილმა და დასძინა, რომ „მე-9 არხი“ პრემიერმა ბიძინა ივანიშვილმა დახურა.

**„ვინ დახურა „მეცხრე არხი“? აბა, გამოიცანით. მე დავხურე? „მე-9 არხმა“ გაუშვა ფილმი პუტინზე, დაურეკეს „მე-9 არხის“ მფლობელს და ხომ არ იცით მისი სახელი და გვარი? ეს არის საქართველოს პრემიერ-მინისტრი. არხი დახურა მოსკოვიდან დარეკვით. თუ გინდათ სიმართლე, მე იქ ვიყავი და ვიცი. მივყვეთ ისტორიას? „25-ე არხი“ გაიფურჩქნა ჩემი მთავრობის დროს და პოპულარული იყო. მე არ ვიცი, ვინ რა პრობლემები შეუქმნა. ძალიან კარგად ვიცი, რომ ბათუმში ერთ-ერთი მთავარი არხი „25-ე არხი“ იყო,** - განაცხადა პრეზიდენტმა. მისივე თქმით, **„საზოგადოება თავად ჩაება კლიშეებში და იძახის, პრეზიდენტმა რაღაც დახურაო“.**

**„არსებობს ბევრი მთავრობა, რომელიც ამას აკეთებდა. ჩვენ ეს მთავრობა არ ვიყავით. „ნაციონალური მოძრაობის“ დასუსტება დებატებისთვის თავის არიდებამ გამოიწვია. ჩვენ თავს ვარიდებდით თავისუფალ დებატებს, სადაც ჭეშმარიტება იბადება, მაგრამ ბევრი სიბინძურე და ტყუილიც არის. გუშინ ბათუმში ავედი, სააკაშვილმა ფერიის მთაზე ეკლესია დაანგრიაო, ცხვირი დავადებინე ყველას, სად არის დანგრეული ეკლესია მეთქი. ყველას ეგონა, რომ მე ეკლესია დავანგრიე, ვინ დაანგრია ეკლესია? სააკაშვილი მკვლელი, სააკაშვილი ის, ეს. ახლა ხომ გამოჩნდა სიმართლე, ახლა მიდით და ნახეთ - ეკლესიაც არის, ფუნიკულიორიც არის ჩემი ინიციატივით გაკეთებული. ეს მითები ნაწილ-ნაწილ ირღვევა და მინდა, ამ თემებზეც ღიად ვილაპარაკოთ,“** - განაცხადა სააკაშვილმა.

პრეზიდენტობის ვადის ამოწურვის მიხეილ სააკაშვილი ღვინისა და მევენახეობის სასწავლო ცენტრის გახსნას აპირებს. მისი თქმით, მეწარმეების დასახმარებლად საქართველოს ყველა რეგიონში უკვე დაფუძნებულია მეღვინეობის ასოციაციები.

**„მინდა, პრეზიდენტობის ვადის ამოწურვის შემდეგ ღვინის და მევენახეობის სასწავლო ცენტრი გავაკეთო კახეთში მეღვინეობის ასოციაციასთან ერთად, რომლებიც საქართველოს ყველა რეგიონშია დაფუძნებული,“** - ამბობს სააკაშვილი.

მისივე თქმით, პრეზიდენტის უფლებამოსილება ძალიან შეზღუდულია და მისი საქმე ხალხთან მისვლა და ხალხის მოსმენაა. სააკაშვილის ინფორმაციით, იგი ასევე აპირებს სასწავლო ცენტრის გაკეთებას პოლიტიკური მეცნიერებების მიმართულებით.

# საგარეო უწყება მედვედევის განკარგულებამ შეაშფოთა

რუსეთის პრემიერ-მინისტრმა დიმიტრი მედვედევმა რუსეთ-საქართველოს საზღვრის აფხაზეთის რეგიონის გარკვეული მონაკვეთი ნაკრძალად გამოაცხადა. მედვედევმა ტრანსსასაზღვრო ნაკრძალის შექმნის შესახებ განკარგულება 13 აგვისტოს გამოსცა.

რუსეთის პრემიერის განმარტებით, რუსულ-აფხაზური ტრანსსასაზღვრო რეზერვატის (ნაკრძალის) შექმნა დამატებით შესაძლებლობა იქნება ბიოლოგიური და ლანდშაფტური მრავალფეროვნების შესანარჩუნებლად და ხელს შეუწყობს ორმხრივ თანამშრომლობას უნიკალური ბუნებრივი კომპლექსების დასაცავად.

აღნიშნული განკარგულების გამო შეშფოთება გამოხატა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ. საგარეო უწყებაში აცხადებენ, რომ ნაკრძალის შექმნის გადაწყვეტილება განსაკუთრებით არაადეკვატურია იმის გათვალისწინებით, რომ სოჭში დაგეგმილი 2014 წლის ზამთრის ოლიმპიადის ინფრასტრუქტურის მშენებლობისთვის ინერტული მასალების გატანით, თავად რუსეთი აყენებს სერიოზულ ზიანს აფხაზეთის რეგიონისა და შავი ზღვის სანაპირო ზოლის უნიკალურ ეკოსისტემას.

**„მსგავსი ქმედება წარმოადგენს რუსეთის მხრიდან საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფას, რაც ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებსა და საერთაშორისო ვალდებულებებს,“** - წერია საგარეო უწყების მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

**„საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მოსკოვის მხრიდან მის მიერვე შექმნილ საოკუპაციო რეჟიმთან დადებული ნებისმიერი „შეთანხმება“ უკანონოა საერთაშორისო სამართლის ნორმების თანახმად, რადგან აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონები წარმოადგენს საქართველოს ტერიტორიის განუყოფელ ნაწილს, რომელიც ამჟამად არის რუსეთის ეფექტური კონტროლის ქვეშ.**

**რუსეთის მთავრობის გადაწყვეტილება საქართველოს სუვერენულ ტერიტორიაზე ნაკრძალის შექმნის შესახებ, განსაკუთრებით არაადეკვატურია იმის გათვალისწინებით, რომ თავად რუსეთი სერიოზულ ზიანს აყენებს აფხაზეთის რეგიონისა და შავი ზღვის სანაპირო ზოლის უნიკალურ ეკოსისტემას, სოჭში დაგეგმილი 2014 წლის ზამთრის ოლიმპიადის ინფრასტრუქტურის მშენებლობისათვის ინერტული მასალების გატანით.**

**საგარეო საქმეთა სამინისტრო გმობს მოსკოვის უკანონო გადაწყვეტილებას და მოუწოდებს რუსეთის ფედერაციას, შეწყვიტოს საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ მიმართული დესტრუქციული პოლიტიკა და შეასრულოს საერთაშორისო ვალდებულებები,“** - ნათქვამია განცხადებაში.

რუსეთის პრემიერ-მინისტრმა დმიტრი მედვედევმა კი რუსეთის, აფხაზეთსა და „სამხრეთ ოსეთის“ სამომავლო ურთიერთობაზე ამჟერად ჩრდილოკავკასიელი ახალგაზრდების ფორუმის წარმომადგენლებთან შეხვედრისას ისაუბრა.

მედვედევის განცხადებით, რუსეთი აფხაზეთთან და ე.წ. სამხრეთ ოსეთთან თანასწორუფლებიან ურთიერთობებს მომავალშიც გააგრძელებს.

**„ჩვენ აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან ურთიერთობებს ვუყურებთ, როგორც თანასწორუფლებიანს. ეს ურთიერთობა აგებულია ჩვენი ხალხების ურთიერპატივისცემასა და სიმპათიებზე,“** - აღნიშნა მედვედევმა.

მისივე თქმით, აფხაზეთთან და ე.წ. სამხრეთ ოსეთთან რუსეთი ურთიერთობას ყველა მიმართულებით გააგრძელებს, მათ შორის ეკონომიკურ სფეროში, სოციალურ-პოლიტიკური თუ უსაფრთხოების უზრუნველყოფის კუთხით.

**„აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის მიმართ ჩვენი არჩევანი გავაკეთეთ და ამაზე უარის თქმას არ ვაპირებთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვიქნებით არათანმიმდევრულნი და გავწირავთ აფხაზ და ოს ხალხს ძალიან სავალალო მდგომარეობისთვის და შესაძლოა, საერთოდ, გაქრობისთვის,“** - განაცხადა მედვედევმა.

ცოტა ხნით ადრე, ვიდრე რუსეთის პრემიერ-მინისტრი ზემოთ აღნიშნულ განცხადებას გააკეთებდა და რუსეთისა და აფხაზეთის ე.წ. საზღვრის მონაკვეთს ნაკრძალად გამოაცხადებდა, საქართველოს სახელმწიფო მინისტრი რეინტეგრაციის საკითხებში პაატა ზაქარეიშვილი ჟურნალისტებთან საუბრისას ამბობდა, რომ რუსეთის ქმედებებზე კომენტარს ვერ გააკეთებდა, რადგან მას მხოლოდ საშინაო საქმეები ეხება. ზაქარეიშვილის ამ განცხადებას „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი დავით დარჩიაშვილი გამოეხმაურა.

დარჩიაშვილის თქმით, პაატა ზაქარეიშვილის განცხადება იმის შესახებ რომ მას მხოლოდ საშინაო, აფხაზეთისა და ოსეთის საქმეები ეხება და რუსეთის ქმედებაზე კომენატარის გაკეთება არ შეუძლია, აღმაშფოთებელია.

დარჩიაშვილის აზრით, საქართველოს სახელმწიფო მინისტრი რეინტეგრაციის საკითხებში რუსული გეგმის მიხედვით მოქმედებს და ცდილობს, აღნიშნული ვითარება ქართველებს, აფხაზებსა და ოსებს შორის არსებულ ეთნიკურ უთანხმოებას დააბრალოს.

**„მინისტრის განცხადება აღმაშფოთებელია, როდესაც ის საუბრობს, რომ მას მხოლოდ საშინაო საქმეები - აფხაზეთი და ოსეთი ეხება და რუსეთის ქმედებებზე კომენატრს არ გააკეთებს. არადა, ეს ორი, ასე ვთქვათ, საშინაო ტერიტორია რუსეთის ოკუპირებულია და რაც იქ ხდება, მათ შორის საოკუპაციო ხაზის გადმოწევა და გახშირებული გატაცებები, რუსეთის პასუხისმგებლობაა. თუ იგი ამას არ ამბობს, ნიშნავს, რომ ის რუსეთს პასუხისმგებლობას უხსნის. ეს არის სწორედ რუსული გეგმა - ყველაფერი დააბრალო ქართველების, აფხაზებისა და ოსებს შორის ეთნიკურ დაპირისპირებას,“** - ამბობს დარჩიაშვილი.

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მეპ". რედაქტორ-გამომცემლები:
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
**რედაქცია:** სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: ირმა ჯიშკარიანი, ნინო ყაველაშვილი **რედაქციის მისამართი: ქ თბილისი, კოსტავას ქ. № 68, საზოგადოებრივი მაუწყებელი, მე-3 კორპუსი, მე-3 სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge**

# „მე-9 არხმა" მაუწყებლობა შეწყვიტა და მყიდველს ელის

პირველი გვერდიდან

ტელეკომპანია „მე-9 არხის" გენერალური დირექტორის ლუბა ელიაშვილის განცხადებით კი, „მე-9 არხის" შესაძენად არაერთი დაინტერესებული პირი გამოჩნდა. მისივე ცნობით, ტელეკომპანია „იბერია" სიხშირეს იბრუნებს და, სხვა დაინტერესებული პირების გარდა, „მე-9" არხი" ტექნიკურ ბაზას „იბერიას" მფლობელებსაც შესთავაზებს. როგორც ელიაშვილმა აღნიშნა, პოტენციურ მყიდველებს სპეციალურ პაკეტებს შესთავაზებენ. მისი თქმით, პაკეტში გათვალისწინებული იქნება თანამშრომელთა შენარჩუნება. როგორც ლუბა ელიაშვილმა განაცხადა, კომპანია „მე-9 არხზე" ჩატარებულია ინვენტარიზაცია, დათვლილია პასიური და აქტიური აქტივები და სწორედ ამას წარუდგენენ პოტენციურ მყიდველებს.

ამასთან, „მე-9 არხის" გენერალური დირექტორის ყოფილი მოადგილე ვასილ მაღლაფერიძე, თანამოაზრეებთან ერთად, ტელეკომპანია „მე-9 არხის" შესყიდვის მიზნით სააქციო საზოგადოების შექმნას აპირებს. ვასილ მაღლაფერიძის თქმით, ბიძინა ივანიშვილს ტელევიზია გარკვეულ უხერხულობას უქმნიდა, რადგან ის პრემიერ-მინისტრია, ამ დროს კი მისი ოჯახი მედიასაშუალებას ფლობდა.

**„ტელევიზია სამი თვის მანძილზე რომ იყიდებოდა, ეს საზოგადოებამ გუშინ შეიტყო. საზოგადოება ამას გაგებით შეხვდა და ეს დემოკრატიისკენ გადადგმულ ნაბიჯად მიიჩნია. ამავე დროს გაჩნდა აზრი, რომელიც ძალიან მალე ბევრმა ადამიანმა აიტაცა და უნდა ითქვას, რომ ამ პროცესში 2 ათასამდე ადამიანია ჩართული. ამ ადამიანებმა თქვეს, რომ ჩვენ მზად ვართ, ავიღოთ ფინანსური პასუხისმგებლობა და ვიყიდოთ ეს ტელევიზია. ეს იყო პასუხი ბიძინა ივანიშვილის გამოწვევაზე საზოგადოების მიმართ,"** - აცხადებს მაღლაფერიძე და აღნიშნავს, რომ საზოგადოება იყიდის ტელევიზიას და ის პოლიტიკურად ანგაჟირებული არ იქნება.

**„სააქციო საზოგადოებას ეყოლება გამგეობა, რომელიც დირექტორს დანიშნავს. ამით, ერთი მხრივ, შევინარჩუნებთ ჟურნალისტთა არსებულ კორპუსს, რაც მნიშვნელოვანია. ეს იქნება კარგი ნაბიჯი იმისთვის, რომ პრემიერი ტელევიზიისგან გათავისუფლდეს და კიდევ უფრო კარგი ნაბიჯი იქნება ჭეშმარიტად საზოგადოებრივი ტელევიზიის შექმნისთვის,"** - ამბობს მაღლაფერიძე, რომლის ინიციატივაც ტელეკომპანია „მე-9 არხის" გენერალურ დირექტორს ლუბა ელიაშვილს არასერიოზულად ეჩვენება. მისი თქმით, ვასილ მაღლაფერიძემ ტელევიზიის სპეციფიკა და ფასი არ იცის.

**„ვასილ მაღლაფერიძემ ტელევიზია არ იცის. ცოტა ხანს მუშაობდა ტელევიზიაში წამყვანად. არასდროს უმუშავია ტელევიზიაში დასაწყისიდან ბოლომდე, არ იცის ტელევიზიის სპეციფიკა, არ იცის ტელევიზიის ფასი. ამიტომ, ძალიან იოლად წარმოუდგენია, რომ შეიკრიბება 2000, 3000, 4000, 10 000 ადამიანი და შეინახავს ტელევიზიას. ვფიქრობ, ეს ასე ვერ იქნება,"** - აღნიშნა ლუბა ელიაშვილმა. მისივე ინფორმაციით, ამ დროისთვის „მე-9 არხის" საბაზრო ღირებულებას ანგარიშობენ. ელიაშვილის განცხადებით, გადახდილია 47 მილიონი დოლარი.

«მე-9 არხის» დახურვის შესახებ პრემიერ ბიძინა ივანიშვილის გადაწყვეტილებას მედიაექსპერტები და პოლიტიკოსები აფასებენ. ზვიად ქორიძის აზრით, ბიძინა ივანიშვილს აწუხებს ის საფრთხე, რომ პრემიერის ოჯახის ტელევიზიამ საარჩევნო პროცესზე ნეგატიური გავლენა არ მოახდინოს.

**„მაგრამ ფაქტია, რომ მე-9 არხი თუ გამოხატავდა ვინმეს პოზიციას, გამოხატავდა პრემიერ-მინისტრის, მისი ოჯახის პოზიციას, ამიტომაც ამ თვალსაზრისით შეიძლება, არხის გაყიდვა ძალიან პოზიტიურიც იყოს. მაგრამ სატელევიზო არხები ასე ფორსმაჟორულად არ უნდა იყიდებოდეს. ეს ხელს უშლის სატელევიზიო ბაზრის მდგრადობის განვითარებას. ეს პირდაპირ აჩვენებს, რომ ჩვენს ტელევიზიებს საზოგადოებრივი სიკეთე არ გააჩნია. ვისაც როცა მოუნდება, მაშინ შეუძლია, ტელევიზია დახუროს და მოქალაქეები, რომლებიც ამ ტელევიზიაზე არიან მინდობილნი, ინფორმაციის გარეშე დატოვოს. ეს წინასწარ შემზადებული პროცესი უნდა ყოფილიყო. უნდა გამოცხადებულიყო საერთაშორისო ტენდერი, გამოჩენილიყვნენ ქართველი ან უცხოელი ინვესტორები, რომლებსაც ამ ტელევიზიის შესყიდვის სურვილი ექნებოდათ,"** - ამბობს ქორიძე და არ გამორიცხავს, რომ ბიძინა ივანიშვილმა «მე-9 არხისა» და პასუხისმგებლობისთვის თავის ასაცილებლად ოპტიმალური დრო მოძებნა.

**„გარდა იმისა, რომ იზრუნა საკუთარ და მთავრობის პოლიტიკურ იმიჯზე, ასევე იზრუნა იმაზეც, რომ პასუხისმგებლობა და ვალდებულება, ჰქონდეს და შეინახოს თავისი ტელევიზია, რაც საკმაოდ ძვირადღირებული სიამოვნებაა, მოეხსნა. ალბათ იმიტომაც, რომ ამ ტელევიზიას საკმაოდ გაუჭირდა, კონკურენტულ სივრცეში დაეკავებინა თავისი რეიტინგული ადგილი,"** - აცხადებს ქორიძე და აღნიშნავს, რომ ტელევიზიის გაყიდვა ძალიან გაჭირდება.

მედიაექსპერტი ია ანთაძე კი ბიძინა ივანიშვილის მიერ გავრცელებულ განცხადებას ერთმნიშვნელოვნად დადებითად აფასებს, თუმცა მედიასივრცეში მიმდინარე პროცესები მედიის წინაშე ხელისუფლების გულწრფელობაში აეჭვებს.

**„თუ პრემიერის განცხადებას დანარჩენი პროცესებიდან იზოლირებულად განვიხილავთ, შემიძლია, დარწმუნებით ვთქვა, რომ რაც განცხადებაში წერია, სწორად მიმაჩნია. პრემიერ-მინისტრის ოჯახს ნამდვილად არ უნდა ჰქონდეს საკუთარი ტელევიაზია, მით უმეტეს, არჩევნების წინა პერიოდში. მაგრამ მაშფოთებს ის, რომ მედიასივრცეში კიდევ რამდენიმე სხვა მოვლენა ხდება. მათი ერთობლიობა კი არ მაძლევს საშუალებას, ვიფიქრო, რომ მედიასივრცეში ისე კარგად გვაქვს საქმე, პრემიერ-მინისტრიც კი ხურავს თავის ტელევიზიას. ბევრი კითხვა არსებობს „მაესტროში" მიმდინარე პროცესის გამო. მამუკა ღლონტმა განაცხადა, რომ ხელისუფლების გარკვეული შტოს წარმომადგენლები ებრძვიან „მაესტროს". თუ ასეა, ეს არ არის ბრძოლა მხოლოდ „მაესტროს" წინააღმდეგ, არამედ ეს არის ბრძოლა საზოგადოების წინააღმდეგ. არ ვიცით, რა ხდება „მაესტროში". გარდა ამისა, „რუსთავი 2"-ის მიმართ პროკურატურაში მიმდინარეობს გამოძიება და არ ვიცით, რით დასრულდება გამოძიება. როდესაც საბოლოოდ დალაგდება სატელევიზიო ეთერი, დღეს ვერ ვიტყვით, როგორი იქნება ეს სივრცე - იქნება უფრო თავისუფალი, ვიდრე დღეს არის თუ იქნება უფრო მეტად მონოპოლიზებული რაღაც ჯგუფის მიერ,"** - აღნიშნა ია ანთაძემ.

გაზეთ „რეზონანსის" მთავარ რედაქტორს ლაშა ტუღუშს „მე-9 არხის" და „ინფო 9"-ის შესახებ პრემიერის გადაწყვეტილების შემდეგ გაორებული ემოცია აქვს. ტუღუშის თქმით, გული სტკივა იმის გამო, რომ ტელევიზია, რომელმაც შექმნა ისტორია და რომელშიც ძალიან კარგი ჟურნალისტები მუშაობენ, უნდა გაქრეს.

**„ეს ძალიან ცუდია, მაგრამ, მეორე მხრივ, მე მესმის პრემიერის, რომელსაც ამ ტელევიზიის არსებობის გამო პრობლემა ჰქონდა. პრემიერ-მინისტრს ჰქონდა საკუთარი ტელევიზია, რაც, რა თქმა უნდა, პოლიტიკური თვალსაზრისით უხერხული მომენტია. მის მიმართ ბევრი კითხვა არსებობდა არა მხოლოდ საქართველოში, არამედ ქვეყნის ფარგლებს გარეთაც. მას ბევრჯერ დაუსვეს ასეთი კითხვები და ძალიან უხერხული პასუხების გაცემა უწევდა. შესაბამისად, მან მიიღო ასეთი მტკივნეული გადაწყვეტილება. ყველაზე უკეთესი ვარიანტი იქნებოდა, რომ საქართველოში სერიოზული, სოლიდური ბრენდი შემოსულიყო. ამის თქმა ერთია და რამდენად რეალურია ამის გაკეთება, ეს მეორეა. მან თქვა, რომ ეს ვერ მოხერხდა,"** - განაცხადა ტუღუშმა. ამასთან, ტუღუში «მე-9 არხის" მაუწყებლობის შეწყვეტას პოლიტიკიდან წასვლისთვის ბიძინა ივანიშვილის მიერ გადადგმულ ერთ-ერთ ნაბიჯად მიიჩნევს. თუმცა, მისივე აზრით, პრემიერის გადადგომა ამ ეტაპზე მიზანშეუწონელია.

**პირადად ჩემთვის არ არის მისაღები და გასაგები ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლა. რადგან მას ხალხმა ხმა მისცა, ის უნდა დარჩეს და დაპირებები და ყველა საქმე ბოლომდე მიიყვანოს,"** - განაცხადა ტუღუშმა.

ტელეკომპანია «მე-9 არხის» შესაძლო დახურვას საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილიც გამოეხმაურა. მისი თქმით, **„არ უნდა ეწყინოთ მე-9 არხის თანამშრომლებს, მაგრამ ისინი გამოიყენეს იმისთვის, რისთვისაც გამოიყენეს და მერე ჩვეულებრივად გვერდით ჩაწიეს."** სააკაშვილი „მე-9 არხს არ მისტირის", თუმცა აღნიშნავს, რომ დამატებით ერთი არხის დახურვა ცუდია.

**„მე-9 არხი" იყო ერთი კონკრეტული რეჟისორის ვლადიმერ ბედუკაძის გადაღებული ფილმის გასაშვებად შექმნილი არხი. ეს კადრები, რომლებიც ბედუკაძემ გადაიღო, „მე-9 არხის" მფლობელს ხელში ჰქონდა, მინიმუმ, 2011 წლის ზაფხულში და როცა გადაწყვიტა პოლიტიკაში შემოსვლა, ამის შემდეგ შექმნა „მე-9 არხი". ამ არხის ერთადერთი ფუნქცია იყო, როდესაც მოვიდოდა მომენტი, ტელესივრცეში გაეშვა ბედუკაძის მიერ გადაღებული თუ დადგმული კადრები,"** - განაცხადა სააკაშვილმა.

„მე-9 არხში" განვითარებულ მოვლენებს „დემოკრატიული მოძრაობა-ერთიანი საქართველოს" ლიდერი და პრეზიდენტობის კანდიდატი ნინო ბურჯანაძეც აფასებს. როგორც მან ჟურნალისტებს განუცხადა, ერთი მხრივ, გასაგებია პრემიერის არგუმენტაცია, რომ მას უხერხულობას უქმნის ტელევიზიის მფლობელობა, თუმცა, მეორე მხრივ, როცა „ნაციონალური მოძრაობა" ფლობს წვრილ და მსხვილ მედიასაშუალებებს და, ფაქტობრივად, „მაესტროც" იხურება, ამ ფონზე არხის გაუქმება მიზანშეწონილი არ არის.

**„მე ვარ პრეზიდენტობის კანდიდატი, რომელსაც არ ეკუთვნის უფასო პოლიტიკური რეკლამა. „მე-9 არხის" გადაცემებში ვმონაწილეობდი და საზოგადოებას ხმას ვაწვდენდი წინასაარჩევნო პერიოდში. „მე-9 არხი" „დემოკრატიული მოძრაობის" საქმიანობას ობიექტურად აშუქებდა. მინდა, მოვუწოდო პრემიერს, რომ თუ მას და მის ოჯახს არხის კუთვნილება რაიმე უხერხულობას უქმნის, შეიქმნას საზოგადოებრივი საბჭო და ტელევიზია მათ გადასცეს სამართავად,"** - განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

ვიცე-პრემიერ კახა კალაძისთვისაც ძალიან გულდასაწყვეტია „მე-9 არხის" დახურვა, რადგან, მისი შეფასებით, «მე-9 არხი» ერთ-ერთი ობიექტური ტელევიზია იყო, რომელიც ქვეყანაში არსებულ მოვლენებს სწორად აშუქებდა. კახა კალაძე იმედს იტოვებს, რომ ტელეკომპანიის შესყიდვის მსურველები გამოჩნდებიან.

**„მეორე მხრივ, პრემიერმა მიიღო ეს გადაწყვეტილება, საუბარი იყო გასხვისებაზე, თუმცა კიდევ იმედს ვიტოვებთ, რომ გამოჩნდებიან ადამიანები, რომლებიც ტელეკომპანიის ყიდვის გადაწყვეტილებას მიიღებენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, დაიხურება, რაც გულდასაწყვეტი და საწყენია. ვიმეორებ, რომ ეს ტელევიზია მოვლენებს ძალიან ობიექტურად აშუქებდა,"** - აღნიშნა კახა კალაძემ.

საქართველოს პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის 19 აგვისტოს გავრცელებული განცხადების მიხედვით, მან და მისმა ოჯახმა პირველი სექტემბრიდან ტელეკომპანია «მე-9 არხისა" და საინფორმაციო სააგენტო «ინფო 9"-ის დახურვის გადაწყვეტილება მიიღეს. მისი თქმით, ტელეკომპანიის გასხვისება რჩევნებში გამარჯვებისთანავე სურდა, **„მაგრამ ჟურნალისტებისა და თანამშრომლების მიმართ პასუხისმგებლობისა და პატივისცემის გამო, მედიასაშუალებების მუშაობა კიდევ ათი თვით გაახანგრძლივა".**

**„ამ დროის განმავლობაში ჩვენ მყიდველს ვეძებდით, რომელიც ამ მედიასაშულებებს ამუშავებდა. 16 აგვისტოს, პარასკევს, ბოლო მყიდველმაც უარი გვითხრა. 19 აგვისტოდან 1 სექტემბრამდე, კიდევ ვიტოვებთ დროს ამ მედიასაშულებების გასასხვისებლად. მყიდველს ამჯერად საბაზრო ღირებულების მესამედ ფასად ვთავაზობთ ტელევიზიასა და საინფორმაციო სააგენტოს, თავისი მატერიალურ-ტექნიკურ ბაზით, იმ პირობით, რომ მყიდველი ტელევიზიას ამუშავებს და თანამშრომლები სამსახურს შეინარჩუნებენ. თუ 1 სექტემბრამდე არ გამოჩნდება მყიდველი, იძულებულნი გავხდებით, შევწყვიტოთ ტელეკომპანია მე-9 არხისა" და საინფორმაციო სააგენტო ინფო 9"-ის მუშაობა. მიუხედავად იმისა, რომ ორგანიზაციის ლიკვიდაციის შემთხვევაში კანონმდებლობა თანამშრომელთათვის კომპენსაციების გადახდას არ ითვალისწინებს, მე და ჩემმა ოჯახმა გადავწყვიტეთ, ყველა თანამშრომელს 2 თვის კომპენსაცია გადავუხადოთ. მიმაჩნია, რომ ტელევიზიასა და მედიასაშუალებაში ჩადებული ფულით არ უნდა ვეხმარებოდე ქვეყანას. მე ჩემს ქვეყანას სხვა, უფრო ეფექტიანი პროექტების განხორციელებაში შევუწყობ ხელს,"** - ნათქვამია ბიძინა ივანიშვილის განცხადებაში.

ტელეკომპანიის 100-პროცენტიანი წილი შპს „აქცეპტს" ეკუთვნის. ამ კომპანიის 80 პროცენტის მფლობელია პრემიერ-მინისტრის მეუღლე ეკატერინე ხვედელიძე, ხოლო 20 პროცენტის - კახა კობიაშვილი.

---

საქართველოს პარლამენტი მწუხარებას გამოთქვამს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის ზვიად ძიძიგურის დედის,

**ნაზი ბზიავას**

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს მას.

---

## ხარატიშვილმა ახალი პოლიტიკური ცენტრის პრინციპები წარადგინა

ცესკო-ს ყოფილი თავმჯდომარე ზურაბ ხარატიშვილის თქმით, ახალი პოლიტიკური ცენტრის ძირითად პრინციპებია: მაღალი ეთიკური სტანდარტების ხელშეწყობა ქართულ პოლიტიკაში და უარის თქმა შეუსრულებად დაპირებებსა და სიძულვილის ენაზე; ევროატლანტიკური ინტეგრაცია და აქტიური სამეზობლო პოლიტიკა; ასევე, ტრადიციული ეროვნული და ოჯახური ფასეულობის დაცვა; საქართველოს უნიკალურობის, როგორც თანამედროვე დემოკრატიული ცივილიზაციის განმტკიცება; ტრადიციული ქრისტიანული ღირებულებების, როგორც თავისუფლების თანამედროვე აღქმის წარმოჩინება; ასევე ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებების საფუძველზე.

ხარატიშვილის თქმითვე, ცენტრის პრინციპი იქნება საზოგადოების სოციალური პასუხისმგებლობა - მიზნობრივი სოციალური გარანტიების არსებობა, ასევე ეკონომიკისა და საზოგადოებრივი ცხოვრების მინიმალური და გონივრული რეგულირება. როგორც ცესკო-ს ყოფილი თავმჯდომარე აღნიშნავს, ახალი პოლიტიკური ცენტრი იქნება არა კოალიცია არჩევნებისთვის, არამედ გრძელვადიანი, დაახლოებით, 3-5-წლიანი სტრატეგია.

ხარატიშვილი მოუწოდებს ყველა პოლიტიკურ ძალას, ვისთვისაც მისაღებია აღნიშნული პრინციპები, შეუერთდეს ახალ პოლიტიკურ ცენტრს. ზურაბ ხარატიშვილი არ აკონკრეტებს, ვისთან ითანამშრომლებს ახალი პოლიტიკური ცენტრი, თუმცა ამბობს, რომ 22 აგვისტოს იგეგმება კონსულტაციები „ევროპელ დემოკრატებთან", 23 აგვისტოს კი - ედპ-სთან.

## „შემიძლია რუსეთთან სტაბილური და ხანგრძლივი ურთიერთობის დამყარება"

„დემოკრატიული მოძრაობა-ერთიანი საქართველოს" პრეზიდენტობის კანდიდატი ნინო ბურჯანაძე თელავის რაიონში შეხვედრებს მართავს. „ინტერპრესნიუსის" ცნობით, ნინო ბურჯანაძემ თელავის საარჩევნო შტაბი გახსნა და ამით კახეთში წინასაარჩევნო კამპანია ოფიციალურად დაიწყო. მოგვიანებით კი, ბურჯანაძე თელავის ცენტრში შეკრებილ მოსახლეობას შეხვდა და მათ სიტყვით მიმართა. ბურჯანაძის განცხადებით, ის კარგად იცნობს კახელი გლეხების პრობლემებს და მხოლოდ მას შესწევს ძალა, რომ მათი შრომა დაფასდეს.

**„რუსეთის ბაზარი ღიაა ქართული ღვინისთვის, მაგრამ არავინ იცის, როდის დააწესებს რუსეთი ახალ ემბარგოს, რადგან ხელისუფლებას არ შესწევს ძალა, დაარეგულიროს პროცესები. მიუხედავად ამისა, დამაბრალებენ თუ არა პრორუსულობას, რუსეთთან სტაბილური და ხანგრძლივი ურთიერთობის დამყარება შემიძლია. დღევანდელ ხელისუფლებას არ შესწევს ძალა, ვინმემ პრორუსულობა არ დააბრალოს. მე არ მაინტერესებს, რადგან ჩვენზე ქართული ძალა არ არსებობს,"** - აცხადებს ბურჯანაძე.

## ქართველი სამხედროების როტაცია ავღანეთში

ქართველი სამხედროები ავღანეთში მიემგზავრებიან. თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, გაცილების ცერემონიალი ვაზიანში IV ქვეითი ბრიგადის ტერიტორიაზე უკვე გაიმართა. საქართველოს შეიარაღებული ძალების I ქვეითი ბრიგადის მე-13 ქვეითი ბატალიონის სამშვიდობო ოცეული ISAF-ის მისიის შესასრულებლად რამდენიმე დღეში გაემგზავრება. სამშვიდობო ოცეული ავღანეთში მყოფ დასავლეთ ოპერატიული დაჯგუფების გაძლიერებულ ოცეულს ჩაანაცვლებს.

გაცილების ცერემონიალს საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის უფროსის პირველი მოადგილე, ბრიგადის გენერალი ვახტანგ კაპანაძე, მოადგილე, პოლკოვნიკი ვლადიმერ ჩაჩიბაია, ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების საზღვაო ატაშე, ვიცე-პოლკოვნიკი რიჩარდ ბრეიდი და შეიარაღებული ძალების სხვა მაღალჩინოსნები დაესწრნენ.

ბრიგადის გენერალმა ვახტანგ კაპანაძემ და ვიცე-პოლკოვნიკმა რიჩარდ ბრეიდმა სამშვიდობო ოცეულის სამხედროებს სიტყვით მიმართეს. მათ ოცეულის პირად შემადგენლობას მხნეობა, დაკისრებული მოვალეობის პირნათლად შესრულება და სახლში მშვიდობით დაბრუნება უსურვეს. ცერემონიალის დასასრულს სამშვიდობო ოცეულის სამხედრო მოსამსახურეები მე-13 ბატალიონის მოძღვარმა დალოცა.

## პატრიარქმა ირანელ სასულიერო პირს სთხოვა, გაქრისტიანებული ქართველები არ დასაჯონ

სრულიად საქართველოს კათოლიკოს- პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ ირანელ სასულიერო პირთა დელეგაციას უმასპინძლა. შეხვედრა საქართველოს საპატრიარქოში გაიმართა და მას გავლენიანი სასულიერო პირი აიათოლა შაჰრისტანი ესწრებოდა. უწმინდესმა აიათოლა შაჰრისტანს ირანში მცხოვრები გაქრისტიანებული ქართველების შესახებ თხოვნით მიმართა.

**„მე მინდა, გთხოვოთ, თქვენო აღმატებულებავ, თქვენთან მცხოვრები ქართველები, მოგეხსენებათ, როცა შაჰ-აბასმა წაიყვანა აქედან, მათი წინაპრები იყვნენ ქრისტიანები და ზოგიერთი აქ რომ ჩამოდის, ისევ ქრისტიანობას უბრუნდება. მე მინდა, გთხოვოთ, რომ არ დასაჯოთ ისინი, შეიძლება ეს?"** - მიმართა უწმინდესმა თხოვნით აიათოლა შაჰრისტანს, რაზეც ირანელმა სასულიერო ლიდერმა უპასუხა, რომ აუცილებლად მიაწვდის აღნიშნულ ინფორმაციას მათ, „ვისაც საჭიროა".

**„ეს სახელმწიფოს ეხება, ჩვენ სასულიერო პირები ვართ. რა თქმა უნდა, ჩვენს საქმეს გავაკეთებთ აუცილებლად, ამ თხოვნას გავიზიარებთ,"** - განაცხადა აიათოლა შაჰრისტანმა.

## ბრიტანეთის სპეცსამსახურები „გარდიანს" ემუქრებოდნენ

ბრიტანული გამოცემა «გარდიანის" რედაქტორ ალან რასბრიჯერის განცხადებით, გაზეთს ქვეყნის სპეცსამსახურები ემუქრებოდნენ, რომლებიც საიდუმლო დოკუმენტების განადგურებას ან ხელისუფლებისთვის დაბრუნებას მოითხოვდნენ. რასბრიჯერის თქმით, ერთი თვის წინ ლონდონში, გაზეთის რედაქციაში «უსაფრთხოების ორი სპეციალისტი" მივიდა და იმ კომპიუტერების განადგურება მოითხოვა, სადაც, მათი ინფორმაციით, ედუარდ სნოუდენის მიერ გადაცემული მასალები ინახებოდა. რედაქტორმა მათ აუხსნა, რომ სნოუდენმა მასალა «გარდიანის" ჟურნალისტ გლენ გრინვალდს გადასცა და მას გაზეთის ნიუ-იორკში მდებარე რედაქციიდან აქვეყნებდნენ. კვირას გრინვილდის მეუღლე დავიდ მირანდა ლონდონის აეროპორტში დააკავეს და 9 საათის განმავლობაში ჰკითხავდნენ. მოგვიანებით გაირკვა, რომ მას ლეპტოპი და მობილური ტელეფონიც ჩამოართვეს. მირანდა აცხადებს, რომ შეეცდება, არ დაუშვას პოლიციის მიერ მისი ელექტრონული ინფორმაციის შემოწმება, რაც უკანონობად მიაჩნია. ამაში მას «გარდიანიც» მხარს უჭერს, ოღონდ გაზეთი იურიდიულ პროცედურებში არ მონაწილეობს.

ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ყოფილმა თანამშრომელმა ედუარდ სნოუდენმა ამერიკის ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოს საიდუმლო პროგრამა გამოამჟღავნა, რომელის შესახებაც ინფორმაცია ამერიკულ და ბრიტანულ გაზეთებს მიაწოდა. აგვისტოსი დასაწყისში მას დროებითი თავშესაფარი რუსეთმა მიანიჭა.

## ასადის ძალებმა მეამბოხეები „ალავიტების მთებიდან" გამოაძევეს

სირიის არმიამ მეამბოხეები ალავიტების მთიანი რაიონიდან გამოაძევა. აღნიშნულის შესახებ, «როიტერის" ინფორმაციით, ოფიციალურმა პირებმა განაცხადეს. არსებული ინფორმაციით, ასადის ძალებმა ცხრა ალავიტურ სოფელზე დაამყარეს კონტროლი. ამ დროისთვის არმია კიდევ ორი სოფლისთვის იბრძვის. ძლიერი შეტაკებები ორშაბათს დაიწყო.

კვირას კი ქვეყანაში გაეროს ექსპერტების ჯგუფი ჩავიდა. ისინი ქვეყანაში ქიმიური იარაღის გამოყენების შემთხვევებს შეისწავლიან. მთავრობა და მეამბოხეები ქიმიური იარაღის გამოყენებაში ერთმანეთს ადანაშაულებენ. ასადის რეჟიმი, როგორც იქნა, დათანხმდა ინსპექციაზე გაეროს პირობებით. ქვეყანაში დაპირისპირება 2011 წლის გაზაფხულზე დაიწყო, რასაც 100 000 ადამიანზე მეტი ემსხვერპლა, ხოლო ორი მილიონი ლტოლვილად იქცა.

სირიის თემაზე საერთაშორისო კონფერენციის მომზადება კი გრძელდება. ორშაბათს ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ამერიკელი და რუსი დიპლომატები მომავალ კვირას ჰააგაში შეხვდებიან ერთმანეთს, სადაც კონფერენციის გეგმებზე იმსჯელებენ. «ჩვენი დიდი ხნის წინ შევთანხმდით რუსულ მხარესთან, რომ ჟენევის კონფერეციის გამართვა კონფლიქტის პოლიტიკური გზით მოგვარებაში წინგადადგმული ნაბიჯი იქნება," - განუცხადა ჯენ პსაკიმ რეპორტიორებს. მისი თქმით, შეხვედრაზე ამერიკულ მხარეს ვენდი შერმანი წარმოადგენს, რომელიც სახელმწიფო დეპარტამენტში პოლიტიკურ საკითხებს უძღვება. რაც შეეხება რუსულ დელეგაციას, მასში შევლენ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეები გენადი გატილოვი და მიხაილ ბოგდანოვი.

## პუტინმა დაღესტნის პრეზიდენტობის კანდიდატები შეარჩია

19 აგვისტოს კრემლის პრესამსახურმა განაცხადა, რომ რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა დაღესტნის პარლამენტში რესპუბლიკის პრეზიდენტობის სამი კანდიდატი წარადგინა განსახილველად. ესენი არიან - რესპუბლიკის ლიდერის მოვალეობის შემსრულებელი რამზან აბდულატიპოვი, შრომის მინისტრი მალიკ ბაგლიევი და უმუპალიზ ომაროვი, რომელიც პარტია «მართალ საქმეს" წარმოადგენს. «ეხო კავკაზას" ცნობით, ქვეყნის ეროვნული კრება ახალ ლიდერს სექტემბერში აირჩევს.

## ცსს-მ ირანის 1953 წლის გადატრიალებაში მონაწილეობა აღიარა

ამერიკის ცენტრალურმა სადაზვერვო სააგენტომ დოკუმენტები გამოაქვეყნა, რომლის მეშვეობითაც პირველად ოფიციალურად აღიარა ირანის 1953 წლის გადატრიალებაში მონაწილეობა. დოკუმენტი გადატრიალების 60 წლისთავთან დაკავშირებით გამოაქვეყნეს.

დემოკრატიული გზით არჩეული ირანის პრემიერ-მინისტრი მოჰამედ მოსადექი მას შემდეგ ჩამოაშორეს ხელისუფლებას, რაც მან ნავთობის მრეწველობის ნაციონალიზაციის შესახებ გააკეთა განცხადება. ამერიკის ეროვნული უსაფრთხოების არქივის მიერ გამოქვეყნებულ დოკუმენტში საუბარია, რომ «სამხედრო გადატრიალება ცენატრალური სადაზვერვო სააგენტოს დახმარებით განხორციელდა." აქამდე 1953 წლის გადატრიალებაში ამერიკის როლზე ქვეყნის ყოფილმა სახელმწიფო მდივანმა მადლენ ოლბრაითმა და პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ გააკეთეს განცხადებები, თუმცა საიდუმლო სამსახურები ამ დრომდე ოფიციალურ კომენატარს არ აკეთებდნენ.

ამერიკის ცენტალურმა სადაზვერვო სააგენტომ და ბრიტანეთის დაზვერვის სააგენტოებმა მხარდაჭერა აღმოუჩინეს გაქცეული შაჰის რეზა ფეჰლევის მომხრეებს, რომლებმაც მოსადექის წინააღმდეგ საპროტესტო გამოსვლები მოაწყვეს. დემონსტანტების მხარეს არმიაც გადავიდა და 1953 წლის 19 აგვისტოს მოსადექის მთავრობის წევრები ქვეყნიდან გაიქცნენ. შაჰი ფეჰლევი კი ქვეყანაში დაბრუნდა და 1979 წლის ისლამურ რევოლუციამდე ქვეყანას სათავეში ედგა.

*მოამზადა თამთა კახაძემ*

# აშშ-მ ეგვიპტეს დახმარება შეუჩერა

### კაიროში კი „მუსლიმანი ძმების" ლიდერი დააპატიმრეს

პირველი გვერდიდან

დაღუპულებს შორის გაზეთ „ალ-ახრამის" ჟურნალისტიც არის, რომლის მანქანასაც საკონტროლო-გამშვებ პუნქტზე შემთხვევით გაუხსნეს ცეცხლი. აშშ-მ კი დროებით, თავის დაზღვევის მიზნით, ეგვიპტის დახმარების პროგრამები შეაჩერა, შემთხვევით კანონი რომ არ დაირღვეს.




სამშაბათს ეგვიპტის ხელისუფლებამ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ დაპატიმრებულია მუჰამედ ბადი, „მუსლიმანი ძმების" სულიერი ხელმძღვანელი. ივლისის დასაწყისში მისი დაპატიმრების შესახებ მედია ორჯერ იუწყებოდა, მაგრამ ეს მაშინ მართალი არ აღმოჩნდა. ივლისის მეორე ნახევარში ბადის დაპატიმრების ოფიციალური ორდერი გაიცა, თუმცა იგი დღემდე იმალებოდა. მუჰამედ ბადი კაიროში, ნასრ სიტის რაიონში, საცხოვრებელი კორპუსის ბინაში დააკავეს. ამჟამად უკვე ტელევიზიითაც გავრცელდა კადრები, რომლებზეც ჩანს, როგორ გამოჰყავთ ბადი უშიშროების წარმომადგენლებს შენობიდან და მანქანაში სვამენ. დასაშვებია, რომ ბადის ადგილსამყოფელს ახლა მიაკვლიეს, თუმცა შეიძლება, მის გადაადგილებებზე ხელისუფლებას აქამდეც ჰქონდა ცნობები, მაგრამ „მუსლიმანი ძმების" პირველი პირის დაკავებას მაინც ერიდებოდნენ. მიმომხილველების აზრით, ეს დაპატიმრება ორად გაყოფილ საზოგადოებაში უფსკრულს კიდევ უფრო გააღრმავებს. მუჰამედ ბადის 1960-იან წლებში ციხეში 9 წელი აქვს გატარებული.

ბადის დაკავებამდე რამდენიმე დღით ადრე მისი შვილი ამარი კაიროში, რამზესის მოედანზე შეტაკებების დროს დაიღუპა.

გასულ შაბათს, დროებითი პრეზიდენტის მრჩეველმა მუსტაფა ჰიჯაზიმ „მუსლიმან ძმებს" ტერორიზმსა და ექსტრემიზმში დასდო ბრალი. მისი თქმით, ეგვიპტეში არეულობა პოლიტიკურ საკითხებზე აზრთა სხვადასხვაობით არ არის გამოწვეული, არამედ ამის მიზეზი ისლამისტების მხრიდან ექსტრემიზმის და ტერორიზმის გამოვლინებაა. კარვების ქალაქების აღების და მასობრივი შეტაკებების შემდეგ „მუსლიმანი ძმების" მიმართ ეგვიპტის ხელისუფლების რიტორიკა სულ უფრო დაემსგავსა „ალ ქაიდას" წინააღმდეგ გამოყენებულ ტერმინებს. მუსტაფა ჰიჯაზიმ მათ ყველაფერი გაუხსენა - მშვიდობიან ეგვიპტელებზე და პოლიციელებზე თავდასხმები, ეკლესიებისთვის ცეცხლის წაკიდება, სახელმწიფო და კერძო ქონების განადგურება. მისი სიტყვებით, ისლამისტებმა სიტყვის თავისუფლება ტერორისტული აქციების წაქეზებისთვის გამოიყენეს.

ეგვიპტის ხელისუფლება „მუსლიმანი ძმების" საქმიანობის აკრძალვის შესაძლებლობას და მიზანშეწონილებას განიხილავს. ეს მოძრაობა უკვე იყო აკრძალული ეგვიპტეში პრეზიდენტ გამალ აბდელ ნასერზე წარუმატებელი თავდასხმის შემდეგ, რაც 1954 წელს განახორციელეს. 1984 წლის შემდეგ მათ წარმომადგენლებს არჩევნებში მონაწილეობის საშუალებაც მიეცათ, ოღონდ სხვა, რეგისტრირებული პარტიების სიით ან დამოუკიდებელი კანდიდატების სტატუსით. არაბული გაზაფხულის სახელით ცნობილი რევოლუციის შემდეგ კი საპარლამენტო არჩევნებში «ზომიერმა ისლამისტებმა»მ დაახლოებითმ 40-42 პროცენტი მოიპოვეს, მათი წარმომადგენელი მოჰამედ მურსი კი პრეზიდენტი გახდა.

ეგვიპტეში სამდღიანი გლოვაა გამოცხადებული 25 პოლიციელის დაღუპვის გამო, რომლებიც სინას ნახევარკუნძულზე მოყვნენ ჩასაფრებაში. ხელისუფლება ამ თავდასხმას ისლამისტებს აბრალებს. „მუსლიმანი ძმების" 36 აქტივისტი კვირას გზიდან გაქცევის მცდელობისას დაიღუპა, როდესაც ისინი კაიროდან სხვა ციხეში გადაჰყავდათ. ივლისის დასაწყისიდან არეულობებს და შეტაკებებს, ოფიციალური მონაცემებით, 900-ზე მეტი ადამიანი შეეწირა, აქედან 100-ზე მეტი პოლიციელი. არაოფიციალური მონაცემებით, მსხვერპლი 3 ათასს აჭარბებს.

გუშინ შემთხვევით გახსნილი ცეცხლის გამო ერთ-ერთ საკონტროლო გამშვებ პუნქტთან დაიღუპა გაზეთ „ალ-ახრამის" წარმომადგენლობის ხელმძღვანელი ბუხეირას პროვინციაში ტამირ აბდელრაუფი. მის მანქანაში მყოფი კიდევ ერთი პირი „ალ-გუმხურიას" ჟურნალისტი ჰამედ ალ-ბარბარი კი დაიჭრა. მათმა მანქანამ კომენდანტის საათის დროს საკონტროლო გამშვებ პუნქტთან სწრაფად მოუხვია და ამას მოჰყვა სამხედროების თუ პოლიციელების რეაქცია. არადა კომენდანტის საათი ეგვიპტეში ჟურნალისტებზე არ ვრცელდება.

სამშაბათს ცნობილი გახდა, რომ აშშ-ს ხელისუფლებამ ეგვიპტის დახმარების პროგრამების დროებითი შეჩერების გადაწყვეტილება მიიღო. ფინანსური წლის ანუ სექტემბრის ბოლომდე ეგვიპტეს ამერიკისგან კიდევ ნახევარ მილარდ დოლარზე მეტი უნდა მიეღო. კანონითჰ აშშ-ს დახმარება უნდა შეუწყდეს იმ სახელმწიფოს, რომელშიც სახელმწიფო გადატრიალება ხდება. ეგვიპტის მოვლენები ამერიკის ხელისუფლებას სახელმწიფო გადატრიალებად არ შეუფასებია, მაგრამ პრეზიდენტმა ობამამ კარვების ქალაქების აღება დაგმო და ერთობლივი სამხედრო მანევრებიც გაუქმდა. ეგვიპტეში სიტუაციის გამოსწორების შემდეგ ასე არაოფიციალურად შეწყვეტილი დახმარება შესაძლოა, ზედმეტი ფორმალობების გარეშე მალევე აღდგეს.

# მუშარაფს ბჰუტოს მკვლელობაში ბრალი წაუყენეს

პირველი გვერდიდან

ბენაზირ ბჰუტო 2007 წლის 27 დეკემბერს ქალაქ რავალპინდიში წინასაარჩევნო მიტინგის დროს მოკლეს.

ყოფილ პრეზიდენტს სასამართლო სხდომის დროს საჯარო განცხადება არ გაუკეთებია, თუმცა ის ბრალდებას უარყოფს, რის შესახებაც დიდი ხანია, ცნობილია. პროცესი 27 აგვისტოსთვის გადაიდო, როდესაც ბრალდებისა და დაცვის მიერ ამ საქმეზე შეგროვებული მასალების არსობრივი განხილვა დაიწყება. ამ საქმეში, მუშარაფის გარდა ბრალდებულად მიიჩნევა კიდევ 6 ადამიანი, მათ შორის არალეგალური შეიარაღებული ფორმირების ორი მებრძოლი და პოლიციის ორი მაღალჩინოსანი.



*ბენაზირ ბჰუტო*

მუშარაფმა არაერთხელ განაცხადა, რომ მის წინააღმდეგ ყველა ბრალდება პოლიტიკურად არის მოტივირებული. მას, ბჰუტოს საქმის გარდა, სხვა ბრალდებებსაც უყენებენ. გუშინაც მუშარაფის ადვოკატმა აფშან ადილამ განაცხადა, რომ „ეს ბრალდებები უსაფუძვლოა, ჩვენ საქმის განხილვის არ გვეშინია. ჩვენ ვიმოქმედებთ სასამართლოში იურიდიული პროცედურების მიხედვით."

მუშარაფი პაკისტანის ხელისუფლებაში 1999 წელს უსისხლო სახელმწიფო გადატრიალების გზით მივიდა. მან პრემიერ-მინისტრ ნავაზ შარიფის მთავრობა დაამხო. ის 9 წლის განმავლობაში იყო პრეზიდენტის პოსტზე, თუმცა შემდეგ არჩევნები წააგო და ქვეყანა საკუთარი ნებით დატოვა. მას შემდეგ დუბაისა და ლონდონში ცხოვრობდა. მუშარაფი სამშობლოში მიმდინარე წლის დასაწყისში დაბრუნდა იმ იმედით, რომ არჩევნებში თავისი პარტიის გაძლოლას მოახერხებდა. თუმცა მას სასამართლომ არჩევნებში მონაწილეობა აუკრძალა და ისლამაბადში მისივე რეზიდენციაში შინაპატიმრობაში მოათავსა. ახლაც ის სასამართლოში გაძლიერებული დაცვით მიიყვანეს.

მუშარაფს რამდენიმე ბრალდებას უყენებენ, რომლებიც ქვეყნის სათავეში მისი ყოფნის პერიოდს ეხება. კერძოდ, ბელუჯების ეთნოსის ტომობრივი გაერთიანების ხელმძღვანელის-ბელადის ნავაბ აკბარ ბუგტის მკვლელობას 2006 წელს და სასამართლო სისტემის მთელი ხელმძღვანელობის გადაყენების მცდელობას 2007 წლის ნოემბერში (მას ამის უფლება არ ჰქონდა). ექს-პრეზიდენტს ბრალდება აგრეთვე ხელისუფლების უკანონოდ ხელში ჩაგდება და სამშობლოს ღალატი.

გაეროს დასკვნის თანახმად, რომელიც 2010 წლისთვის მომზადდა, იოლად შეიძლებოდა ოპოზიციის ლიდერ ბენაზირ ბჰუტოს მკვლელობის თავიდან აცილება, მუშარაფის მთავრობას მისი სათანადო დაცვა რომ უზრუნველეყო. მაშინ მუშარაფის მომხრეებმა გაეროს დასკვნას სიცრუე უწოდეს. მუშარაფის მთავრობა ბჰუტოს მკვლელობას თალიბებს აბრალებდა. ახლა პაკისტანის პროკურატურამ მუშარაფს, ფაქტობრივად, მსგავსად ჩამოყალიბებული ბრალდება წაუყენა.

გაეროს ზემოხსენებული დასკვნა პაკისტანის მთავრობის თხოვნით მომზადდა. მუშარაფის ნებაყოფლობითი ემიგრაციის მთავარი მიზეზი ის იყო, რომ მისმა პარტიამ არჩევნები წააგო და იმპიჩმენტის საფრთხეც ემუქრებოდა. რაც მთავარია, ხელისუფლებაში 2008 წლის დასაწყისში ბენაზირ ბჰუტოს პარტია მოვიდა, ხოლო პრეზიდენტი მისი ქვრივი ასიფ ალი ზარდარი გახდა. წინა ხელისუფლების პერიოდში მუშარაფის გასამართლება მაინც ვერ მოესწრო, რადგან ის სამშობლოში ახლახანს დაბრუნდა. მას მთავრობის და სასამართლო სისტემის კეთილგანწყობის იმედი ალბათ არც ახლა უნდა ჰქონდეს, რადგან ივნისში არჩევნები დამაჯერებლად მოიგო „მუსლიმურმა ლიგამ" და პრემიერი ისევ, უკვე მესამედ, ნავაზ შარიფი გახდა, რომლის მთავრობაც დაამხო თავის დროზე მუშარაფმა.

ერთადერთი „იმედი" შეიძლება, ისევ სამხედროები იყვნენ. პაკისტანში ბევრი ელოდა, რომ მუშარაფს ბრალდებებს წაუყენებდნენ, თუმცა ბევრს ახლაც არ სჯერა, რომ არმია თავისი ყოფილი ხელმძღვანელის ჩასმას ციხეში დაუშვებს. სასამართლოს ეს გადაწყვეტილება პაკისტანისთვის უპრეცედენტოა. ამ ქვეყნას მთელი არსებობის ნახევარზე მეტი ხნის განმავლობაში სამხედროები ხელმძღვანელობდნენ. ამ უკანასკნელთა გავლენა ყოველთვის ძლიერი იყო და ასეა ახლაც. აქამდე არც ერთი მოქმედი თუ ყოფილი სამხედრო ხელმძღვანელისთვის დანაშაულში ბრალი არ წაუყენებიათ.

# რამაზ ჩხიკვაძის შემოქმედება ფოტოექსპოზიციაში

ბათუმის იუსტიციის სახლში ცნობილი ქართველი მსახიობის რამაზ ჩხიკვაძის დაბადებიდან 85 წლის იუბილესადმი მიძღვნილ გამოფენას მიმდინარეობს.

გამოფენა იუსტიციის მინისტრის პირველმა მოადგილემ დავით ჯანდიერმა და ეროვნული არქივის გენერალურმა დირექტორმა თეონა იაშვილმა გახსნეს.

არიან ადამიანები საქართველოს ისტორიაში, რომელთაც წარუშლელი კვალი დატოვეს. წელს აღინიშნება რამაზ ჩხიკვაძის 85 წლის იუბილე. ეროვნულ არქივში მასთან დაკავშირებით ასეულობით ფოტოა დაცული, რომელთა ნაწილი აქ არის წარმოდგენილი. ეს პროექტი მიზნად ისახავს, რეგიონის მოსახლეობა გაეცნოს ამ უნიკალურ მასალას. იმედი გვაქვს, რომ გამოფენა დააინტერესებს როგორც ბათუმის მოსახლეობას, ისე ქალაქის სტუმრებს", - აღნიშნა გამოფენის გახსნისას დავით ჯანდიერმა.

თეონა იაშვილის თქმით, გამოფენაზე, რომელიც 28 აგვისტომდე გაგრძელდება, წარმოდგენილია რამაზ ჩხიკვაძის როგორც ბიოგრაფიული ფოტოები, ისე კინო და თეატრალური როლების ამსახველი მასალა. ამ ექსპოზიციისთვის ეროვნულ არქივში დაცული ფოტოებიდან 40 ცალი შეირჩა".

ეროვნული არქივის კინოფოტოფონოდოკუმენტების ცენტრალურ არქივში რამაზ ჩხიკვაძის რამდენიმე ასეული ფოტო ინახება. მათი ერთი ნაწილი მხატვრული ფილმების გადასაღებ მოედანს ასახავს. გარდა ამისა, არქივი ინახავს თეატრალური სპექტაკლების, რეპეტიციების, სხვადასხვა ღონისძიების ფოტოებს. გამოფენაზე დაცული ფოტოების ნაწილი დაცულია „საქინფორმის" კოლექციაში.



ქართული და თეატრისა და კინოს მსახიობი რამაზ ჩხიკვაძე 1928 წლის 28 თებერვალს თბილისში, მუსიკოს გრიგოლ ჩხკიკვაძის ოჯახში დაიბადა. 1951 წელს დაამთავრა თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტი. ამავე წლიდან რუსთაველის დრამატული თეატრის მსახიობი გახდა. რუსთაველის თეატრის სცენაზე განასახიერა მრავალი საინტერესო და დაუვიწყარი როლი: ლეანდრო («ესპანელი მღვდელი"), პეტრიპეტრუსი («როცა ასეთი სიყვარულია"), ქოსა მრჩეველი («ჭინჭრაქა"), მეკი დანა («სამგროშიანიოპერა"), კასიანე («მზიანი ღამე"), თედო («ბებერი მეზურნეები"), აკოფ დარდიმანდიანცი(«ხანუმა"), კირილე მიმინოშვილი («სამანიშვილის დედინაცვალი"), შოშია («საბრალდებოდასკვნა"), ყვარყვარე («ყვარყვარე"), აზდაკი («კავკასიური ცარცის წრე"), რიჩარდი («რიჩარდIII"), ლირი («მეფე ლირი").

რამაზ ჩხიკვაძის შემოქმედება ასეთივე წარმატებული იყო კინოშიც. იგი 70-ზე მეტმხატვრულ ფილმშია გადაღებული. მათ შორის, „ჭრიჭინა", „წარსული ზაფხული" „ლონდრე", „თეთრი ბაირაღები", „ქალაქი ანარა", „ნერგები", „სოფლის აშიკი", „ნატვრის ხე", „თხუნელა". ბათუმის იუსტიციის სახლში გამოფენა 28 აგვისტომდე გაგრძელდება. **24 საათი**

# აი ვეივეის სკამები

 აი ვეივეი ჩინელი არტისტი, არქიტექტორი და კურატორია. დამფუძნებელი «China Art Archive & Warehouse». -ის. 2011 წლის გავლენიანი ჟურნალის არტ რევიუს" მიერ შედგენილ ყველაზე გავლენიანი 100 მხატვრის სიაში მისი გვარი პირველია. 1957 წელს დაიბადა. ჩინეთში. მხატვრის მამა ცნობილი ჩინელი პოეტი აი ცინია. რომელიც წლების განმავლობაში გადასახლებული გახლდათ. რეჟიმისადმი დაუმორჩილებლობა არც მისი ვაჟისთვის გამოდგა უცხო. აი ვეივეიმ პეკინის კინოს აკადემია დაამთავრა ანიმაციის განხრით. ის გახლდათ ცნობილი ანდერგრაუნდული გაერთიანების ვარსკვლავების" დამფუძნებელი. 1981 წელს აშშ-ში გაიქცა ხელისუფლებისგან დევნის მიზეზით. შტატებში 1982 წელს დიზაინის სკოლაში პარსონში" ჩააბარა. ამერიკაში მხატვარზე განაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა პოპ არტისა და კონცეპტუალიზმის მიმართულებებმა. რამდენიმე წელიწადში აი ვეივეის მამის ავადმყოფობის გამო სამშობლოში დაბრუნება მოუწია. მალე ის აკრძალული" მხატვარი გახდა. სახელოსნო ჩამოართვეს. ქვეყნიდან გასვლა კი აუკრძალეს. 2011 წლის აპრილში აი ვეივეი ჰოკონგში გაფრენას ცდილობდა, დაიჭირეს. მისმა პატიმრობამ გამოიწვია მსოლფიო არტისტული სივრცის გამოხმაურება. ანიშ კაპურმა მისი გათავისუფლების მოთხოვნით საკუთარი მუზეუმი დროებით დახურა. პარიზის გრანდ პალეს" საგამოფენო დარბაზში ვეივეის მხარდასაჭერი გამოფენა გაიხსნა. გაიმართა სხვადასხვა არტისტული აქციები მსოფლიოს დიდ ქალაქებში. შედგა ე.წ. სკამების აქცია", რაც მდგომარეობდა შემდეგში - მსოლფიოს სხვადასხვა ქალაქში მხატვრები სკამებით გამოდიოდნენ და გარკვეული დროს განმავლობაში მდუმარედ ისხდნენ ღია ცის ქვეშ. ამ ყოველივემ თუ სხვა უცნობმა მიზეზებმა განაპირობა აი ვეივეის მხოლოდ სამთვიანი პატიმრობა. 2011 წლის ივნისში ის გაათავისუფლეს. გაათავისუფლეს ციხიდან, მაგრამ არა ქვეყნიდან. მიუხედავად ამისა მისმა ანტიკომუნისტურმა აქტიურობა და პატიმრობამაც კი საკმაოდ ბევრი განსაზღვრა მის კარიერაში. 2013 წლის ვენეციის ხელოვნების ბიენალეზე გერმანიამ საკუთარ პავილიონში სწორედ ის წარმოადგინა. ამ გამოფენაზე აი ვეივეის ძირითადი ნამუშევარი გახლავთ ინსტალაცია სკამებით. 24 საათი



## დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი აცხადებს
## აუქციონს (პირობებით)

მის ბალანსზე რიცხული ქონების პრივატიზების მიზნით

აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იქნება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის შემდეგი ქონება: ავტომობილები: „ტოიოტა ფორანერი" სახ. NIYi -986, „მერსედეს ბენცი" –E-280 სახ.N VGV-809, "ინფინიტი QX4", სახ.NXXL-046, "ოპელ ვექტრა" სახ. N YXY-273.

აუქციონზე გამოტანილი ქონება გაიყიდება ცაკ-ცალკე -ლოტებად:

| ლოტი | ქონების ჩამონათვალი | სახელმწიფო ნომერი | საწვავის ტიპი | საწყისი გასაყიდი ფასი(ლარებში) | „ბე" საწყისი ფასის (ლარებში) | „ბიჯი" საწყისი ფასის (ლარებში) | „მონაწილის ბილეთის" ფასი (ლარებში) |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | „ტოიოტა ფორანერი" | NIYi -986 | ბენზინი | 14078 | 10% | 5% | 100 |
| | | | | | | | |
| 2 | ,„მერსედეს ბენცი" –E-280 | VGV-809 | ბენზინი | 4322 | 10% | 5% | 100 |
| 3 | "ინფინიტი QX4" | XXL-046 | ბენზინი | 8006 | 10% | 5% | 100 |
| 4 | "ოპელ ვექტრა" | YXY-273. | ბენზინი | 2235 | 10% | 5% | 100 |

აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ:
საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, ან იმ პირთა გაერთიანებას რომლის ქონებაშიც, საქართველოს სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია.

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განაცხადების მიღება იწარმოებს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში (მე-3 სართული, მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური თემურ ოზბეთელაშვილი), ინფორმაციის გამოქვეყნებიდან ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა 10-დან 17 საათამდე, 30-ე კალენდარული დღის $11^{00}$ სთ-მდე. იმ შემთხვევაში, თუ 30-ე კალენდარული დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განაცხადების მიღება გაგრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველსავე სამუშაო დღეს, $11^{00}$ სთ-ზე.

აუქციონი გაიმართება განაცხადების მიღების დამთავრების დღეს, $12^{00}$ სთ-ზე. მისამართი: ქ.დედოფლისწყარო, მ. კოსტავას ქ.N44,

აუქციონში მონაწილეობის მიღების მსურველი აუქციონის რეგისტრატორს (დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობა, მე-3 სართული, მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური, თემურ ოზბეთელაშვილი) წარუდგენს შემდეგ დოკუმენტებს:

1. განაცხადს, დადგენილი ფორმის მიხედვით;
2. „ბე"-ს და მონაწილის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელ ქვითარს, რომელიც გადახდილ უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე: ერთიანი საბიუჯეტო ანგარიში 200122900;სახელმწიფო ხაზინა-220101222, კოდი-300533332.
3. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლს (ფიზიკური პირის შემთხვევაში), ნოტარიულად დამოწმებულ სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლებს და განაცხადის შეტანის მომენტისათვის მოქმედ ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში).
4. ნოტარიულად დამოწმებულ მინდობილობას, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით.

აუქციონში მონაწილეს ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ გადაეცემა აუქციონზე დასწრების ბილეთი.

აუქციონში დამარცხებულს „ბე" დაუბრუნდება, ხოლო აუქციონში გამარჯვებულმა პირმა აუქციონის ჩატარებიდან 30 დღის განმავლობაში უნდა გადაიხადოს საბოლოო თანხა. თუ მყიდველი აღნიშნულ თანხას არ გადაიხდის სრულად, მის მიერ შეტანილი „ბე" უკან არ დაუბრუნდება.

გასაყიდი ქონებისა და აუქციონის პირობების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე: ქ.დედოფლისწყარო, მ.კოსტავას ქ.N44, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობა, მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური.

საკონტაქტო ტელ: 599 85 58 63

სააუქციონო კომისია

## ს.ს. " საქართველოს გეოლოგიისა და სამთო საქმის ეროვნული კომპანია"

აცხადებს აუქციონს : ფართის იჯარით გაცემის მიზნით :

| ადგილმდებარეობა მისამართი | ფართის რაოდ. | 1 კვ.ღირებ. ყოველთვიურად დღგ–ს ჩათვლით | ბე–ს ოდენობა ლარებში | "ბიჯი" ლარებში | ყოველთვიური საწყისი საიჯარო ქირა ლ-ში დღგ–ს ჩათვლით |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ქ. თბილისი გოძიაშვილის ქ.№ 97, არასაცხოვრებელი ფართი | 34 | 5 | 34 | 5 | 170 |
| | 100 | 5 | 100 | 5 | 500 |
| 2. ქ. თბილისი გოძიაშვილის ქ.№ 99 სასაწყობე ფართი | 100 | 5 | 100 | 5 | 500 |
| | 100 | 5 | 100 | 5 | 500 |

აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოს რეზიდენტ და არარეზიდენტ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს. აუქციონის ბილეთი 10(ათი)ლარი განცხადების მიღება "ბე"-ს გადახდილ ქვითართან ერთად.
"ბე" შეტანილი უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე: ს.ს."თიბისი ბანკი" მთაწმინდის ფილიალი
ა/ა GE40 TB78 9263 6060 1000 01 ბანკის კოდი: TBCBGE 22

განცხადების მიღება მიმდინარეობს გამოქვეყნებიდან 2013 წლის 3 სექტემბრამდე 11:00 დან 17:00 საათამდე.
აუქციონი ჩატარდება 2013 წლის 4 სექტემბერს 14:00 საათზე.
მისამართი : ქ.თბილისი გოძიაშვილის ქ. № 99 ტელ: 2 51 72 43 ; 2 30 66 84
ადმინისტრაცია.

შპს "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი" (GWP) წამყვანი კომპანიაა საქართველოს წყალმომარაგების ბაზარზე. ის მაღალი ხარისხის საიმედო მომსახურებას უწევს თბილისისა და მისი შემოგარენის მოსახლეობას, სახელმწიფო ორგანიზაციებს, სამრეწველო და კომერციულ ობიექტებს.

**"ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი" აცხადებს კონკურსს - N008-BID-DES-13 - საგურამოჰესის პროექტის შესადგენად.**

გამარჯვებულად დასახელდება კომპანია, რომლის შეთავაზება და ფასი მაქსიმალურად დააკმაყოფილებს GWP-ის მოთხოვნებს.

**ზოგადი ინფორმაცია:**

საგურამოჰესის წყალმიმღებ კვანძად გამოყენებულია ბოდორნა - თბილისის ზღვის წყალსადენის მე-14 კმ-ზე განთავსებული გაუქმებული სატუმბო სადგურის წყალმიმღები კვანძი.

არსებობს სატურბინო მილდენი, სადგურის შენობა და სხვა.

საგურამოჰესის პროექტი დამუშავდება დამკვეთის მიერ კონსულტანტისათვის მიწოდებული ჰიდროლოგიური და ტოპოგრაფიული მასალების მიხედვით. აგრეთვე, დამკვეთი კონსულტანტს გადასცემს ჰიდროენერგეტიკულ გაანგარიშებებსა და ელექტროტექნიკური ნაწილის პროექტს, რომლის საფუძველზეც კონსულტანტი უზრუნველყოფს სრული საპროექტო დოკუმენტაციის შემუშავებას (ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება).

**სპეციფიკური მოთხოვნები:**

მონაწილე კომპანიას უნდა გააჩნდეს მსგავსი სამუშაოების შესრულების გამოცდილება.

დამატებითი ინფორმაცია და დოკუმენტაციის მიღება ხდება ელექტრონული ფორმით, მითითებულ ელექტრონულ მისამართზე მოთხოვნის გაგზავნის მეშვეობით (აუცილებელია სათაურში (subject) მითითებული იყოს კონკურსის ნომერი).

წინადადების წარდგენის საბოლოო ვადაა 2013 წლის 2 სექტემბერი 15:00 სთ.

წინადადების წარდგენის ფორმა: დახურული კონვერტი.

**საკონტაქტო ინფორმაცია:**
*შპს "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი"*
*კოსტავას I შესახვევი N33*

***საკონტაქტო პირი:*** ეკა კვინტრაძე
*ტელეფონი:* +(995) 293 11 11 (1147)
*ელ. ფოსტა:* *ekvintradze@georgianwater.com*

# კოტე ტულუშის ჩანაწერები

პირველი გვერდიდან



დამატებით დროში. ჩვენთან დამატებითის გარეშე მოხვდა. ეს უკვე სასიამოვნოა. ევროპის ჩემპიონატამდე ასევე ვესპარინგეთ ბოსნიას. იქ ჩვენი ახლობელი, მირზა ტელეტოვიჩი მოდის აზრზე. ჩვენ ჩვენი პრობლემები გვაქვს მოსაგვარებელი და ბოსნია მერე იყოს. ევროპის ჩემპიონატამდე ცოტა დრო რჩება.

ანტიბზე სასიამოვნო იყო და სლოვენიაში ანტიბის ამბები უკვე არააქტუალური იქნება. სლოვენიაში დაგველაპარაკებიან და იმ საუბარში არ უნდა ჩავიჭრათ. იმ საუბარში საქართველოს ნაკრები ბოლომდე მიაწვება თავის ნათქვამს და პოლონეთს, ჩეხეთს უნდა მოვუგოთ. ყოველ შემთხვევაში, გვინდა, რომ მოვუგოთ. დანარჩენი ვნახოთ... თუ ნაკრები ფიზიკურად გაძლებს, მოგება რეალურია. უბრალოდ, ამის გაკეთება ძნელი იქნება. სანაკრებო ამბები უკეთ გავიაროთ. სანაკრებო ამბებში კოტე ტულუშს დაველაპარაკეთ. კოტე იგორ კოკოშკოვის ასისტენტია. იგორ კოკოშკოვი ნაკრების მთავარი მწვრთნელია. და ეს ამბები რეალურად საინტერესოა. ისევე როგორც მთელი ის პროცესი, რომელიც ნაკრების მოსამზადებელ ეტაპზე მიდის. ნაკრები სლოვენიისთვის მზად იქნება. ტულუშიც მზად იყო. ჩვენც.

**- შეკრებით კმაყოფილი ხართ?**

**- კოტე ტულუში**: კი, ნაყოფიერი შეკრება გამოვიდა. დიდხანს ვიყავით სლოვენიაში, გვქონდა საინტერესო ტესტები და მთელი ეს პროცესი გვაძლევს მომავლის იმედს. მომატების პერსპექტივა რეალურად არის. ნაკრები პროგრესირებს და, საკადრო პრობლემების მიუხედავად, ყველაფერი კარგად მიდის.

**- მოდი, ტესტებს კონკრეტულად გავყვეთ. იტალიით დავიწყოთ.**

**- კ.ტ**: ეს იყო პირველი თამაში ჩვენთვის (69:85) და ეს იყო პირველი თამაში იტალიისთვის. არ გვყავდა ორი ლიდერი - ზაზა ფაჩულია და თორნიკე შენგელია. იტალიას ოპტიმალური ფინალური ეტაპისთვის გამზადებული რუსტერიდან არ ჰყავდა დანილო გალინარი. პირველი ტესტის ჩატარება ყოველთვის ძნელია. იტალია ევროპაზე ერთ-ერთი საინტერესო, მძიმე მოწინააღმდეგე იქნება. ნებისმიერისთვის. იმ კონკრეტული თამაშიდან იყო ბევრი დადებითი. ბევრი საინტერესო ნიუანსი მოვინიშნეთ, რაზეც მომავალში ვიმუშავებთ. ბევრი რამ გამოსასწორებელია. იტალიასთან წაგება არ არის ტრაგედია. იტალია სოლიდური მოწინააღმდეგეა და თან ეს ჯერ მხოლოდ შეკრების ნაწილია.

**- წავედით ისრაელთან თამაშზე.**

**- კ.ტ**: ისრაელი... ალბათ, მოსამზადებელი ეტაპის პირველ დონეზე იყო ერთადერთი თამაში, რომლის მოგებაც უფრო გვინდოდა, ვიდრე - უკეთ შეთამაშება. იდეაში, ორივეს პარალელურად ვაკეთებდით. ისრაელი ძალიან კარგი, ჭკვიანი, გამოცდილი ნაკრებია. კარგი სროლით, ხასიათით. ისრაელმა მოუმატა და ჩვენთან მაქსიმუმი გააკეთა. უბრალოდ, სადაც საჭირო იყო, ჩასაგდები ჩავაგდეთ, სადაც საჭირო იყო, დაცვაში ასალები ავიღეთ და საბოლოოდ ყველაფერი კარგად დასრულდა. 79:77 მოვიგეთ.

**- ორი თამაში გვქონდა ბოსნიასთან.**

**- კ.ტ**: ბოსნიას კარგად ვიცნობთ. შესაბამისად, ბოსნიაც კარგად გვიცნობს. ალბათ, გახსოვთ, საკვალიფიკაციო ტურნირის დროს ორი დაძაბული თამაში გვქონდა. ორივე ძალიან მნიშვნელოვანი, მძიმე. ალბათ, ამ ფაქტორების გამო ეს ტესტები უფრო საინტერესოდ წავიდა. ჩვენც ძალიან გვინდოდა მოგება და ბოსნიასაც. ბოსნიასთან პირველ თამაშში იყო რიკი ჰიკმანის დებიუტი საქართველოს ნაკრებში. ბოსნია იმაზე ბევრად უკეთესია, ვიდრე - იმ შესარჩევში. ბოსნიამ ბევრი ნიუანსი გამოასწორა და პირველი თამაში 68:63 მოგვიგო. მეორე ტესტს ჩვენ ვიგებთ - 81:78. არასწორი იქნება რომელიმე კონკრეტული მოთამაშის გამორჩევა. ნაკრებმა კარგად შეასრულა იგორ კოკოშკოვის დავალება. მოვიგეთ და მთავარი ეს არის. ბოსნია ისევ ის ტელეტოვიჩი, დედოვიჩი, რაიტია. ევროპაზე ბოსნია კარგ კალათბურთს ითამაშებს, ბევრს შეუქმნის პრობლემებს. ძალიან კარგი ბიჭია ამ გუნდის ცენტრი სტიპანოვიჩი. სხვებიც პრობლემებს ქმნიან.

**- ვუგებთ სერბეთს.**

**- კ.ტ**: ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ვეთამაშებით სლოვენიას, ხორვატიას, ესპანეთს. სამ ძალიან ძლიერ გუნდს. ესპანეთი მთელი ტურნირის ფავორიტია. ალბათ, ამ ნაკრებებთან ერთად, ევროპის ჩემპიონატზე პირველ ხუთეულში შესვლის ერთ-ერთი ფავორიტი სერბეთია. მნიშვნელობა არა აქვს, ვინ გადის სასტარტო ხუთეულში, ვის დაუძახეს შეკრებაზე, ვინ იღებს დიდ დროს... სერბეთის ნაკრები ყოველთვის სერბეთის ნაკრებია. 75:71, თამაში ავიღეთ და ვერ წარმოიდგენთ, როგორი ბედნიერი იყო ჩვენი ნაკრების ყველა წევრი. პირველი ტაიმი ცუდად, უყურადღებოდ, პასიურად ჩავატარეთ და მერე მოვუმატეთ. მეორე ტაიმში საქართველოს ნაკრებმა კარგი კალათბურთი ითამაშა. სერბეთმა დატვირთა ნენად კრსტიჩი, მაქსიმუმი გააკეთა მოსაგებად... საქართველომ მაინც მოიგო.

**- საფრანგეთთან ვაგებთ...**

**- კ.ტ**: ...და საფრანგეთი ჩვენზე, ბევრზე უკეთესი ნაკრებია. ალბათ, ამ ეტაპზე საფრანგეთი ევროპაში ყველაზე ძალისმიერი, ფიზიკურად თითქმის იდეალურად მომზადებული გუნდია. საფრანგეთში ბევრი ვარსკვლავია. საფრანგეთს ჰყავს ტონი პარკერი. ჩვენთან არ იყო ბატუმი და სხვებმა ითამაშეს. ოერტელი ძალიან კარგია, დე კოლო ამერიკაში ნელ-ნელა უმატებს, დიაო გამოცდილი, სანდო მოთამაშეა. საფრანგეთი ევროპის ჩემპიონატზე ერთ-ერთი ფავორიტი იქნება. 71:86 წავაგეთ. ხდება ხოლმე. საფრანგეთთან სხვებიც აგებენ.

**- ძალიან ძნელია ზაზას და თოკოს გარეშე?**

- კი, ძალიან ძნელია. ზაზა ფაჩულია ნაკრების ლიდერი, შეუცვლელი მოთამაშეა. ზაზა იგებს თამაშებს და მასთან ერთად ბევრი რამ უფრო ადვილი გასაკეთებელია. ზაზა ყველა ასპექტში ლიდერია. რაღაც დონეზე გადავეწყვეთ და ვცდილობთ, ევროპის ჩემპიონატისთვის საუკეთესო ფორმაში ვიყოთ. ზაზას და თოკოს გარეშე ეს ძალიან ძნელი იქნება, მაგრამ ვნახოთ... ნაკრების ყველა წევრი მაქსიმუმს აკეთებს საბოლოო გამარჯვებისთვის, წარმატებისთვის. იმედი მაქვს, ყველაფერი კარგად იქნება.

**- ჰიკმანის თემაც გავიაროთ.**

**- კ.ტ**: გამოცდილი, ინდივიდუალურად ძლიერი მოთამაშეა, რომელსაც საქართველოს ნაკრებში აკლიმატიზაციის გავლაში ყველა ეხმარება. GMG-ზე ევროლიგის რეპორტაჟებს ვინც უყურა, ამაში დამეთანხმება. ჰიკმანი მოუმატებს. დღეს ევროპაში მას აქვს ავტორიტეტი, ამბიცია და ეს ამბიცია გამართლებულია. ნელ-ნელა შევა ფორმაში. მანამდე მთელი ნაკრები მაქსიმალურად დაეხმარება.

**- კიდევ ერთი თამაში გვქონდა. პოლონეთთან. 75:87.**

**- კ.ტ**: პოლონეთი ძალიან... იცით როგორი?.. ძალიან მშრომელი გუნდია. ჰყავს გამოკვეთილი ლიდერები: გორტატი, ლამპე, კელატი. წავაგეთ... ძალიან მოწესრიგებული გუნდია. გორტატთან თუ მის გარეშე, ნებსიმიერ შემთხვევაში, სოლიდური გუნდია და მოუმატებს. რთული თამაში გვექნება. ძალიან რთული.

**- ჩვენი პერსპექტივა?**

**- კ.ტ**: ჯერ ადრეა პერსპექტივაზე საუბარი. ვნახოთ... დაიწყება ევროპის ჩემპიონატი და... იმედი მაქვს, საქართველოს ნაკრები ფინალურ ეტაპზე საუკეთესოდ მომზადებული გავა.

# „დინამო" VS „ტოტენჰემს" ჰოლანდიელები განსჯიან



უეფას ევროპალიგის ფლეი ოფის პირველ მატჩს, რომელიც „დინამო არენაზე" თბილისის „დინამოსა" და ლონდონის „ტოტენჰემს" შორის გაიმართება, ჰოლანდიელ მსაჯთა ბრიგადა განსჯის.

მთავარი მსაჯი იქნება პოლ ვან ბოკელი, რომელსაც დეივ გოოსენსი და პეტერ ვან დონგენი დაეხმარებიან.

ჰოლანდიელ პოლ ვან ბოკელს „დინამოს" მონაწილეობით ადრეც უმსაჯია - 2009 წლის 30 ივლისს თბილისის „დინამომ" შინ, „დინამო არენაზე", სერბულ „ცრვენა ზვეზდას" უეფას ევროპალიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე 2:0 მოუგო. მატჩის ჰოლანდიელმა არბიტრმა «დინამოსა» და «ცრვენა ზვეზდას» ფეხბურთელებს ორ-ორი ყვითელი ბარათი უჩვენა.

ამასობაში Sky Italia იუწყება, რომ მადრიდის „რეალმა" ლონდონის „ტოტენჰემთან" გარეტ ბეილის ტრანსფერი შეათანხმა.

გავრცელებული ინფორმაციით, 24 წლის უელსელის სანაცვლოდ, მადრიდელები ლონდონელებს 93 მილიონ გირვანქა სტერლინგს (109 მილიონი ევრო) გადაუხდიან. თუ შეთანხმება განხორციელდა, ბეილი ყველაზე ძვირად ღირებული ფეხბურთელის სტატუსით ისარგებლებს.

ბეილის შესაძლო ტრანსფერიდან შემოსული თანხით ლონდონელები რამდენიმე ძლიერ ფეხბურთელს შეიძენენ. მათ შორის „ანჟის" ნახევარმცველ ვილიანს და „რომას" შემტევს ერიკ ლამელას.

დინამოელთა მომავალმა მეტოქემ 32 წლის ნახევარმცველი სკოტ პარკერი „ფულჰემს" მიჰყიდა. პარკერისთვის, რომელსაც აქამდე „ჩარლტონში", „ჩელსისა" და „ვესტ ჰემში" უთამაშია, „ფულჰემი" მეხუთე ლონდონური კლუბი იქნება. მას „ქუინზ პარკიც" (ესეც ლონდონური) ეპატიჟებოდა, თუმცა, ინგლისის ნაკრების ნახევარმცველმა პრემიერლიგაში დარჩენა ამჯობინა.

«დინამო» VS «ტოტენჰემი» 22 აგვისტოს «დინამო არენაზე» გამართება. დასაწყისი 20 საათზე. ბილეთები 5, 10 და 15 ლარი ეღირება.

## «დილა» ვენაში «რაპიდთან» შესახვედრად ემზადება

პირველ ქართულ კლუბს - გორის «დილას», რომელმაც ზედიზედ მეორედ გავიდა ევროპის ლიგის ფლეი ოფში, 22 აგვისტოს ვენის «რაპიდთან» გასვლით მატჩში მოუწევს ურთიერთობის გარკვევა. გორელები ავსტრიაში არიან და მატჩისთვის ემზადებიან. ოღონდ ავსტრიაში თავდამსხმელ ირაკლი მოდებაძის გარეშე გაემგზავრნენ. მოდებაძეს ტრავმა აქვს, რის გამოც საქართველოს ჩემპიონატის მეორე ტურში თბილისის „დინამოსთან" არ უთამაშია (ის მატჩი 1:1 დასრულდა). გამოჯანმრთელდა და გუნდთან ერთადაა რატი ალექსიძე (თბილისის «დინამოსთან» ის განაცხადშიც არ იყო).

„დილას" ავსტრიაში ჩარტერული რეისით გამგზავრების საშუალება არ ჰქონდა. ამიტომ იძულებული გახდა, 19 აგვისტოს, მიუნხენის გავლით ჩასულიყო ვენაში.

ევროპის ლიგის ფლეი ოფის პირველ მატჩში ვენელები „დილას" გერჰარდ ჰანაპის სახელობის სტადიონზე უმასპინძლებენ.

ქართულ კლუბთან შეხვედრას სერიოზულად ეკიდებიან ვენაში. ავსტრიელთა მწვრთნელი ზორან ბარიშიჩი გორის „დილასთან «რაპიდის» შანსებს 50/50-ზე აფასებს.

„საინტერესო მეტოქეა. „ოლბორგს" და „ჰაიდუკს" ყველა გუნდი ვერ გამოთიშავდა. ამ კლუბზე თითქმის არაფერი ვიცით, რაც, ბუნებრივია, საქმეს გვირთულებს. „დილას" ევროპაში დიდი სახელი არა აქვს, მაგრამ ის გუნდია, რომლის დაუფასებლობა არ გვარგებს".

მატჩი თბილისის დროით 23:05 საათზე დაიწყება და მას „საზოგადოებრივი მაუწყებლის „პირველი არხი" პირდაპირი ეთერით გადასცემს.

„დილა" ავსტრიიდან 24 აგვისტოს დაბრუნდება, 25-ში კი საქართველოს ჩემპიონატის მესამე ტურში ქუთაისის „ტორპედოსთან" სტუმრად მოუწევს დაპირისპირება. მართალია, კლუბები მატჩის გადადებაზე შეთანხმდნენ, რაც „დილას" დირექტორმა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას წერილობითაც აცნობა, მაგრამ მანამდე აღმასკომის გადაწყვეტილებაა საჭირო, რომელიც დღეს უნდა გახდეს ცნობილი.

## ახალგაზრდა მოჭიდავეები სამინისტროში მიიღეს



*გენო პეტრიაშვილმა დუბლი შეასრულა*

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში ახალგაზრდული მსოფლიო ჩემპიონატიდან დაბრუნებულ თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ახალგაზრდულ ნაკრებს უმასპინძლეს.

20 აგვისტოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში გამართულ პრესკონფერენციაზე მინისტრმა ლევან ყიფიანმა თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა წარმატებას გაუსვა ხაზი და გენო პეტრიაშვილს მსოფლიო ჩემპიონობა, დავით ბუზიაშვილს ვიცე-ჩემპიონობა, ხოლო ბექა ბუჯიაშვილს, შოთა ფარტენაძეს და ასევე კლასიკური სტილით მოჭიდავე შმაგი ბოლქვაძეს ბრინჯაოს მედლები მიულოცა.

ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში გამართულ მსოფლიო პირველობაზე საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ახალგაზრდული ნაკრების წევრმა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. ფავორიტად შერაცხილმა ქართველმა ოქროს მედლისთვის ბრძოლაში ყველა მეტოქე დაამარცხა. პეტრიაშვილმა ფინალურ შეხვედრამდე გერმანელ ლიტვინოვს 11:2 სძლია, ტუნისელი ტრაბელსი 7:0 დაამარცხა, კანადელი დჰინსა - 8:0, ხოლო რუსი გოგაევი - 11:4. გადამწყვეტ დაპირისპირებაში საქართველოს ნაკრების ლიდერმა ირანელი აბდულა გომი ავილის 7:0 აჯობა. პეტრიაშვილმა მსოფლიო ჩემპიონობამდე ევროპის პირველობაც მოიგო.

გიორგი გოგშელიძის ხელმძღვანელობით მოასპარეზე თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ახალგაზრდული ნაკრებიდან ვერცხლის მედალი 66 კგ. წონით კატეგორიაში მოიპოვა დავით ბუზიაშვილმა, რომელიც ფინალში თურქ კილიჩსალაიანთან დამარცხდა, ბექა ბუჯიაშვილმა (55 კგ.) და შოთა ფარტენაძემ (60 კგ.) კი მესამე საპრიზო ადგილები აიღეს და ბრინჯაოს მედლებს დაეუფლნენ.

ასე რომ, საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ახალგაზრდულმა ნაკრებმა მსოფლიო პირველობაზე ოთხი მედალი მოიპოვა - ერთი ოქრო, ერთი ვერცხლი და ორი ბრინჯაო. ერთი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს კლასიკური სტილით მოჭიდავეებმა - მესამე ადგილი შმაგი ბოლქვაძემ (66 კგ.) დაიკავა.


PHOTOGRAPHED BY FRED MEYLAN
ELITE MODEL LOOK CASTING 2013
N°1 MODEL SEARCH WWW.ELITEMODELLOOK.COM/GE
21 JULY KUTAISI Opera House 14:00 - 17:00
23 JULY GORI Gamarjveba Movie Theatre 14:00 - 16:00
26 JULY GURJAANI Cultural Centre 14:00 - 16:00
29 JULY ZUGDIDI Art Gallery 14:00 - 17:00
17 AUGUST BATUMI Hotel Intourist 14:00 - 17:00
18 AUGUST OZURGETI Theatre Hall 14:00 - 16:00
07 SEPTEMBER TBILISI Tbilisi Mall 14:00 - 18:00
2013 elite MODEL LOOK GEORGIA
IC MODEL MANAGEMENT
MUSIC BOX
kikala studio
OUTdooR.ge
MSG
ADSSPRINT
McCANN TBILISI
Curves
MYVIDEO.GE
LUXURY
ego
GHN
ANGEL
24 საათი
allMovies.ge
Pink